ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 2 დეკემბერი, 2021 №228 (8757) ფასი: 60 თეთრი

## „საქართველოში მწვანე პასპორტი საერთოდ არ გაამართლებს“

ვატო სურგულაძე: „ჯანდაცვის სამინისტროში ნახევარზე მეტი არ არის აცრილი“



გვ.3

# „სააკაშვილმა დანარჩენ ოპოზიციას პირწმინდად მოუგო“

გვ.4




მამუკა გიორგაძე: „საქართველოში რუსული სპექტაკლები გრძელდება“

„კობახიძესა და მდინარაძეს არავინ არაფერს ეკითხება“



## „პოლიციელები დღესაც მერაბიშვილის სადღეგრძელოს სვამენ“

ლევან გოგიჩაიშვილი: „სააკაშვილი ხელისუფლებაში თუ მოვიდა, ჯერ პარტნიორებს დაერევა – ქვანია და ბურჯანაძე „შეჭამა“ და ხოშტარია-ხაზარაძეს გაუყოფს ძალაუფლებას?!“

გვ.2




„გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია, მაგრამ არა – ენმ-ის დღის წესრიგით“

გვ.3



### გურამ აბულაძე: „პრემიერის უშუალო ჩართულობით ძვირადღირებული მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხები გამოიყო“

### „არ გამიკვირდება, პრემიერად ირაკლი კობახიძე დაგვისვან“

დავით ჭიჭინაძე: „სააკაშვილმა მელია მეორე ფლანგზე გადასწია“



გვ.3



გვ.4

### პეტრე მამრაძე: „7 ნოემბერს ბურჯანაძე მიშას უყვიროდა, ბიჭი ხარ, ბიჭიო!“

### ზაზა სარალიძემ თავისი შვილის მკვლელების შეწყალება მოითხოვა



„ვპატიობ მათ ყველაფერს“

გვ.5

პროკურორების შეურაცხყოფის გამო ნიკა გვარამიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

ISSN 1987-9385

2 საქართველომ რუსულ ენერგოკომპანიას 80 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს

5 ბესიკ თამლიანს პატიმრობა მიესაჯა — მან შიმშილობა დაიწყო

2 ალეკო ელისაშვილი: „სააკაშვილის ხელისუფლებასთან გაკარება სათოფეზე არ შეიძლება“

6 ზელენსკი: „რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გარეშე ომს ვერ შევაჩერებთ“

# „პოლიციელები დღესაც მერაბიშვილის სადღეგრძელოს სვამენ“

## ლევან გოგიჩაიშვილი: „სააკაშვილი ხელისუფლებაში თუ მოვიდა, ჯერ პარტნიორებს დაერევა — ჟვანია და ბურჯანაძე „შეჭამა“ და ხოშტარია-ხაზარაძეს გაუყოფს ძალაუფლებას?!“

იაგო ნაცვლიშვილი

**შექმნილი პოლიტიკური კრიზისისა და გაზრდილი პოლარიზაციის ფონზე რაში ხედავს გამოსავალს? ვისზე დგას დღეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და რატომ მიაჩნია მნიშვნელოვნად, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, მაგრამ ის არ ჩაითვალოს ნაციონალური მოძრაობის მონაპოვრად? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში წინა მოწვევის პარლამენტის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი საუბრობს.**




**ლევან გოგიჩაიშვილი:**

— ხელისუფლების დაბალი ლეგიტიმაციის ფონზე ძალიან დიდი რისკია, რომ პროცესები არასასურველი მიმართულებით განვითარდეს. მე ახლა რასაც ვუყურებ, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა გაექროთ საკუთარი ლეგიტიმაცია. დღეს შსს არის იმის გარანტი, რომ ხელისუფლება იყოს ხელისუფლება, თორემ რაღაცა რომ მოხდეს ამ პროცესში და რაღაც მომენტში პოლიცია გაიწიოს, ხელისუფლება ძალიან სერიოზული პრობლემების წინაშე დადგება.

სამწუხაროდ, ეს გააკეთეს იმის გამო, რომ ყველაფერი მოირგეს საკუთარ თავზე და ინსტიტუტების დელეგიტიმაცია მოახდინეს, ამიტომ დღეს სჭირდებათ ის, რაც წლების განმავლობაში სჭირდებოდა სააკაშვილს.

***— რასაც თავის დროზე ებრძოდნენ — პოლიციურ სახელმწიფოს, თავადაც ასეთი სახელმწიფო ჩამოაყალიბეს?***

— არის ხოლმე დრო, როდესაც პოლიცია არ არის საჭირო ხელისუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ დგება მომენტები, როდესაც ისინი მიმართავენ შსს-ს და მის იმედად არიან. ასე იყო წლების განმავლობაში, სააკაშვილის ძალაუფლება იდგა პოლიციაზე და დღესაც ეს პროცესია. რაღაცა რომ მოხდეს და სიტუაცია გატყდეს, იქ ხელისუფლება დაკარგულია.

ეს აქამდე მიიყვანა „ქართულმა ოცნებამ“ თავისი უზურპირებით, საკადრო გადაწყვეტილებებით, პროკურორებითა თუ მოსამართლეებით.

### „გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია, მაგრამ არა — ენმ-ის დღის წესრიგით“

ის ხალხი, ვინც მან გადმოიბარა, არასანდოა. ერთხელ რომ ადამიანი მონად არის ნამუშევარი და მეორედაც მონად მუშაობს... მონას რა უნდა? — ვინც მეტს შესთავაზებს, იმისკენ იქნება. მე არ ვიცი, ხელისუფლება რას ფიქრობს და როგორ ფიქრობს, მაგრამ, მგონია, რომ ის იმ იდეალების, ფასეულობების და ბრძოლის შესანარჩუნებლად, რაც ჩვენ მოვიპოვეთ 2012 წელს, უკვე აღარ არის საკმარისი. „ოცნება“ ამას თავს ვეღარ გაართმევს.

***— თქვენთვის რას ნიშნავდა სააკაშვილის საქმის პროკურორ ჯარჯი წიკლაურის პოლიტიკური განცხადებები?***

— მაგ შეფასებაში არ შევალ, მაგრამ ეს ჯარჯი წიკლაური, როგორც მახსოვს, იყო ციხეების ზედამხედველი პროკურორი, ყოველ შემთხვევაში, იმ სისტემის გაზრდილია. ხელისუფლება რომ არ შეცვლილიყო, მზად იყო, ეკეთებინა ყველაფერი, რასაც სააკაშვილი და ადეიშვილი დაავალებდნენ. შესაბამისად, როგორია მისი პოზიცია, დიდი ახსნა არ სჭირდება. რაც არის, ეგ არის.

***— ამ ვითარებიდან გამოსავალს რაში ხედავთ?***

— გამოსავალი არის ვადამდელი არჩევნები, ოღონდ არა — ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგითა და კარნახით. რაღაცნაირად უნდა მოახერხოს ხელისუფლებამ და იპოვოს ის სივრცე, სადაც ვადამდელ არჩევნებს არ დაერქმევა ნაციონალური მოძრაობის მოთხოვნის შედეგად მიღწეული არჩევნები. ეს არის ერთ-ერთი გამოსავალი, თორემ ამ ლეგიტიმაციით როგორ მივა „ოცნება“ 2024 წლამდე, ამას ვერ გეტყვით.

ფაქტია, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა დიდი ქალაქი წააგეს. რაც მაგათ გააკეთეს, მაგას წაგება ჰქვია. ეგ მოგება არ არის. დაკარგეს რამდენიმე საკრებულო და ეს არ არის პატარა ქალაქები, დაკარგეს 3 ძირითადი ქალაქი — ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში პრობლემები აქვთ.

***— ვადამდელის მიღწევას ნაცმოძრაობის სახელი რატომ არ უნდა დაერქვას, რატომ მიგაჩნიათ ეს მნიშვნელოვან საკითხად?***

— თუ ნაცმოძრაობის სახელით მიიღწევა, მაშინ ვადამდელ არჩევნებს წააგებს „ოცნება“. ძალიან მნიშვნელოვანია, რა კონტექსტით ნიშნავ ვადამდელ არჩევნებს. პროტესტის ფონზე რომ არჩევნები დაინიშნოს, თქვენც ხომ ხვდებით, რომ წაგებული აქვს „ოცნებას“. აქ აღარაა ლაპარაკი ზუგდიდის საკრებულოზე, საქართველოს პარლამენტში დაკარგავენ უმრავლესობას.

***— არა, „ოცნების“ გადმოსახედიდან არ გეკითხებით, ქვეყნის გადმოსახედიდან ვსვამ კითხვას.***

— ქვეყნის გადმოსახედიდან ნაციონალური მოძრაობის რეაბილიტაცია და რევანში კარგს არაფერს მოიტანს. ხომ ხვდებით, რასაც იზამენ. ფიქრობთ, რომ იმ მეთოდებს არ მიმართავენ?! 87% რომ ჰქონდა სააკაშვილს, მაშინ დასჭირდა ძალადობა და წარმოგიდგენიათ, არამყარი ხელისუფლების პირობებში რას გააკეთებენ მის შესანარჩუნებლად?! სააკაშვილი ჯერ თავის პარტნიორებს დაერევა და 6 თვეში მათი ბუნდღა აღარ იქნება.

***— ერთპიროვნულ მმართველობას აიღებს ხელში?***

— აბა რას იზამს! დემოკრატია სააკაშვილი და მაგიტომ მოდის, რომ ხაზარაძეს ან ელენე ხოშტარიას გაუყოს ხელისუფლება?! ჟვანია და ბურჯანაძე შეჭამა პოლიტიკურად და ეჭვი მაქვს, რომ ხოშტარიასა და ხაზარაძის ჩამოცილებაც არ გაუჭირდება. ეს ადამიანი არის დიქტატორი და არაფერს არ ეგუება. გამორიცხულია, მან ვინმეს გაუყოს ძალაუფლება. ახლა როგორც მღერის, ისე კი არ იქნება.

***— მისი ბოდიში სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით მისაღები არ იყო თქვენთვის, რომლის ერთ-ერთი მსხვერპლი თქვენც იყავით?***

— სად მოიხადა ბოდიში? იდგა სასამართლოზე და თავს იმართლებდა, შეთქმულებას გადავარჩინე 2007 წელს ქვეყანაო. რა პატარკაციშვილი, ღმერთმა აცხონოს ის, რომელიც აუგად მოიხსენია, მაგრამ არაფერ შუაში არ ყოფილა პატარკაციშვილი. ეს იყო ჩვენი — ხალხის აქცია იყო მის წინააღმდეგ. მაშინდელ ლიდერებს ცოტა მეტი გამბედაობა რომ ჰქონოდათ, სააკაშვილი დამთავრდებოდა 2008 წელს. სამწუხაროდ, ვერ დამთავრდა და დამთავრდა 2012-ში.

დღეს ქვეყანა რისკის წინაშეა და ეს რისკი გააჩინა „ქართულმა ოცნებამ“ თავისი უპასუხისმგებლობითა და არადემოკრატიულად ქვეყნის მართვის გაგრძელებით. ეს პრობლემები დაიწყო 2018 წლიდან. მანამდე პრობლემები არ იყო, მანამდე ნაცმოძრაობა იყო პარლამენტში, მაგრამ იყო მარგინალური ძალა, რომელსაც არანაირი შანსი არ ჰქონდა ხელისუფლებაში დაბრუნების, შემდეგ კი ეს შანსი გაუჩნდათ და ამ შანსს გამოეკიდებიან, ეცდებიან, კიდევ უფრო დაძაბონ ქვეყანაში სიტუაცია, იმიტომ რომ, როგორც ჩანს, რესურსი აქვთ. ხალხი ჰყავთ, ფულადი რესურსის მხრივაც 1 თეთრი არ დაჰკლებიათ.

იკრიბება უკვე ეს ხალხი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ. მეორე მხარეს ვინ არის? ივანიშვილს ჰგონია, რომ ჯარჯი წიკლაურია მისი ხელისუფლების შენარჩუნების გარანტი?!

***— ალბათ ჰგონია, რომ ირაკლი კობახიძე და ირაკლი ღარიბაშვილი უზრუნველყოფენ ხელისუფლების შენარჩუნებას.***

— ჯერჯერობით ძალოვნებს აქვთ ეს ბერკეტები ხელში და ირაკლი კობახიძე ვერ ირბენს წიწაკის სპრეით. რამდენ ხანს შეიკავებს პოლიცია ამ პროცესს, რომელიც დღესაც ვანო მერაბიშვილის სადღეგრძელოებს სვამს?! რამდენიც გინდათ, იმდენი არიან. პოლიციელები როდესაც მიდიან საარჩევნო ურნასთან, მათი ნაწილი არჩევანს ნაციონალურ მოძრაობაზე აკეთებს.

ეს ერთი ნაბიჯია პატრონის შესაცვლელად. კობახიძე და მდინარაძე შეაჩერებენ ამ პროცესებს?! თქვენ თვითონაც ხომ გეღიმებათ ამაზე!

# ალეკო ელისაშვილი: „სააკაშვილის ხელისუფლებასთან გაკარება სათოფეზე არ შეიძლება“



— სათოფეზე არ შეიძლება მისი ხელისუფლებასთან გაკარება. ეს გვითხრა გუშინწინ სააკაშვილმა, რადგან, რომ მოვა, უარესს ჩაიდენს, რასაც ჩადიოდა.

ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისი თქმით, სააკაშვილის ინიციატივა, რომ ყველა სოფელში მისი გათავისუფლების კომიტეტები უნდა შეიქმნას, სიგიჟეა.

— სიგიჟეა, რაც თქვა სააკაშვილმა, მოგიწოდებთ ჩემს მხარდამჭერებს, ყველა სოფელში შექმენით ჩემი გათავისუფლების კომიტეტები. ეს როგორი აბსურდია, იცით?! სოფლებში რომ კომიტეტები შექმნან, იმ კომიტეტებმა რა უნდა ქნან? — ფიწლები მოიმარჯვონ და შევარდნენ გორის ჰოსპიტალში? — რატომ მოუწოდებ ასეთი სიგიჟისკენ?

ნესტორ მახნო იყო ცნობილი უკრაინელი ანარქისტი, გულიაი-პოლე, ჰქონდა ასეთი სოფელი, თავისი მშობლიური, სადაც შექმნა სახელმწიფო. ამ გულიაი-პოლეში ნესტორ მახნო ჩადიოდა ზუსტად ასეთ რაღაცებს, იტყოდა, წამოდი, ახლა დავეცეთ იმ ქალაქს და დაეცემოდნენ. შევარდებოდნენ, გადაწვავდნენ ჟანდარმერიას. აღარ არის მახნოს დრო, მახნო ჰგონია თავისი თავი.

რა გვითხრა, იცით, სააკაშვილმა? სათოფეზე არ შეიძლება მისი ხელისუფლებასთან გაკარება, ეს გვითხრა გუშინწინ სააკაშვილმა, რადგან, რომ მოვა, უარესს ჩაიდენს, რასაც ჩადიოდა. გირგვლიანის საქმე არ არსებობსო, გვითხრა და 7 ნოემბერს მე რა შუაში ვიყავიო, ვანო მერაბიშვილი წარმართავდაო. ეს ხელის შეწმენდაც ხომ ლაჩრების საქმეა. მანამდე თქვა, მეგის ქარდავა საერთოდ არ ვიცი, ვინააო, — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

მისი თქმით, 29 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე გამოჩნდა, რომ ის არ შეცვლილა.

— კატასტროფა იყო, გუშინწინ რაც ილაპარაკა სააკაშვილმა, არანაირ სინანულს არ ველოდი, არანაირი მაღალი წარმოდგენა სააკაშვილზე მე არ მაქვს, უბრალოდ, მან თავის თავს გაუკეთა ძალიან ცუდი. გამოვიდა და თქვა, რომ არ შევცვლილვარო, რა სადისტიც ვიყავი, ის სადისტი დავრჩიო. სადისტის გარდა ვერავინ ვერ იტყვის, რომ გირგვლიანის საქმე არ არსებობს. შენ დროს რომ ახალგაზრდა ბიჭი წაიყვანეს და წამებაში მოკლეს შენმა მაღალჩინოსნებმა და მერე შენ რომ ხელს აფარებდი წელიწადნახევარი, ერთხელ რომ არ მოგინდა დაგერეკა ირინა ენუქიძისთვის, ამას რომ ჩაიდენ, ხომ სადისტი ხარ, — განაცხადა ელისაშვილმა.

# საქართველომ რუსულ ენერგოკომპანიას 80 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს




250 მილიონ ლარზე მეტი უნდა გადაიხადოს საქართველომ რუსეთის სასარგებლოდ. ჯარიმა სტოკჰოლმის არბიტრაჟმა საქართველოს თითქმის ოთხწლიანი დავის შემდეგ დააკისრა.

საერთაშორისო ტრიბუნალში ხელისუფლებას რუსულმა კომპანია ,,ინტერ რაომ“'უჩივლა. მიზეზი კომპანიისთვის ლარის გაუფასურებით მიყენებული ზარალი იყო.

2013 წელს, მას შემდეგ რაც ლარმა გაუფასურება დაიწყო, თელასის 75%-ის მფლობელი კომპანია „ინტერ რაო“ ითხოვდა, რომ ზარალი, რაც კურსის ვარდნით მიიღეს, ტარიფში ნაწილობრივ მაინც ასახულიყო, საქმე კომპანიის საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის ღირებულებას ეხებოდა, თუმცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მმართველი გუნდის ოპონენტების შეფასებით, მარეგულირებელმა კომისიამ ხელისუფლების ინტერესების შესაბამისად იმოქმედა. ვითომ ხალხზე გათვლილი გადაწყვეტილებით კი ისევ ხალხი ზარალდება, რადგან 80 მილიონი დოლარი სახელმწიფომ ხალხის ფულიდან უნდა გადაიხადოს.

„ქართული ოცნება“ ისევ წინა ხელისუფლებას ადანაშაულებს. კახა კალაძე, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი და ამჟამად თბილისის მერი, იმით ინუგეშებს თავს, რომ რუსული კომპანიის საჩივარი მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქართველოს არა 200, არამედ 80 მილიონის გადახდა დაეკისრა.

სტოკჰოლმის არბიტრაჟის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროც გამოეხმაურა. უწყებაში აცხადებენ, რომ დავა ისევ გრძელდება.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები არ საჩივრდება და მხარეებმა შეიძლება მხოლოდ პროცედურულ დარღვევებზე იდავონ. ასევე არ გამორიცხავენ, რომ საზღვარგარეთ ქვეყნის ქონება დაყადაღდეს, თუ ხელისუფლებამ უარი თქვა კომპენსაციის გადახდაზე.

# „არ გრძნობთ უხერხულობას, როდესაც თქვენი პროფესორ-მასწავლებლები მოითხოვენ პატიმარ სააკაშვილის გადარჩენას?“

## ინჯიამ ჩხენკელს კითხვა დაუსვა



„ევროპელი სოციალისტების“ წევრი, დეპუტატი ფრიდონ ინჯია ჯო ბაიდენისთვის გაგზავნილ წერილს ეხმაურება და უკმაყოფილოა პროფესორ-მასწავლებლებით, რომლებიც ამ წერილს აწერენ ხელს.

ინჯია განათლების მინისტრ ჩხენკელს მიმართავს:

— მინდა შეგახსენოთ, რომ ამ დღეებში გამოქვეყნდა წერილი, რომელსაც ხელს აწერს საზოგადოების გარკვეული ნაწილი და მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯო ბაიდენისადმი. ეს არის საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც მოითხოვს პატიმარ სააკაშვილის გადარჩენას და გათავისუფლებას. ეს ხალხი არ მიიჩნევს, რომ ის იყო მკვლელი, მაწამებელი თუ რაც არის, ქურდი, საქართველოს მიწის გამსხვისებელი, ყაჩაღი, მოძალადე, რეკეტიორი, მრავალი სხვა.

ამ სიაში არის გარკვეული რაოდენობის ხალხი, თქვენი პროფესორ-მასწავლებლები, სადღაც 20%-ია, თქვენ არ გრძნობთ უხერხულობას, როდესაც თქვენი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც თქვენ ხელფასს უხდით, რომლებმაც უნდა ასწავლონ ჩვენს სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს, ქვეყნის სიყვარული, პატრიოსნება, ის იდეოლოგია, რაც სჭირდება ჩვენს ქვეყანას გადარჩენისთვის, ისინი აწერენ ხელს ასეთ პეტიციას?! — აცხადებს ინჯია.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საქართველოში მწვანე პასპორტი საერთოდ არ გაამართლებს“

## ვატო სურგულაძე: „ჯანდაცვის სამინისტროში ნახევარზე მეტი არ არის აცრილი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.**

***– ბატონო ვატო, პირველი დეკემბრიდან მწვანე პასპორტები შევიდა ძალაში. რამდენად იმუშავებს ეს ღონისძიება?***

– ეს იქნება აბსოლუტურად არაეფექტური ღონისძიება, არ მოიტანს არც დაავადების რაოდენობის შემცირებასა და არც ვაქცინაციის აქტივობის გაზრდას.

***– რატომ?***

– პირველ რიგში იმიტომ, რომ პისიარტესტებითა და სწრაფი ტესტებითაც შეიძლება შესვლა, რაც გამოიწვევს თაღლითობას. გამოჩნდებიან თაღლითები. ავიღებ სწრაფ ტესტს და შევალ რესტორანსა თუ კინოთეატრში.

***– ამირან გამყრელიძე აცხადებს, ავამუშავებთ ბერკეტებს, რითაც თაღლითობას ხელს შევუშლითო. რა ბერკეტები არსებობს საამისოდ?***

– რა ბერკეტებზე ლაპარაკობს, როცა ნიღბების ტარება ვერ აიძულეს ხალხს, პისიარტესტები კეთდება სუვენირების მაღაზიებში და რაღაც გაურკვეველ ჯიხურებში. არასწორად აღებულმა ტესტმა, შესაძლოა, მოგვცეს ცრუ უარყოფითი პასუხი და რეალურად კოვიდი ჰქონდეს ადამიანს. ამიტომ ვერაფერსაც ვერ გააკონტროლებენ! ყველაზე ცუდი კი ის არის, მე რომ შევდივარ კინოში ან რესტორანში, მე თუ ვარ აცრილი, რატომ არ უნდა მხვდებოდეს იქ ან მიმტანი ან მზარეული აცრილი?!

***– მათ რატომ არ აქვთ ამის ვალდებულება?***

– აი, ეგ არის საქმე, მაგიტომ მაქვს პროტესტი. ყველასთვის სავალდებულო უნდა გამხდარიყო, ყველასთვის თუ არა, რისკჯგუფებისათვის მაინც, დაწყებული თუნდაც ექიმებით. იცით, რომ ჯანდაცვის სამინისტროში ნახევარზე მეტი არ არის აცრილი?! საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ, რომელ ვაქცინაციაზე?! ორი წლის წინ გადატანილსაც რომ მწვანე პასპორტს აძლევ, ეს ნორმალურია?! ორი წლის წინ გადატანილსო... ხალხო, ორი წლის შემდეგ შეიძლება წითელა განმეორდეს და რა სისულელეზე ლაპარაკობთ. 6 თვეა მთელ მსოფლიოში.

***– შესაძლოა, 3 თვის შემდეგ ისევ შეგხვდეს..***

– რა თქმა უნდა! როგორ შეიძლება ამის გაკეთება, რა ორი წელი! მე გავაკეთებდი სულ სხვანაირად, რისკჯგუფებისთვის – ექიმები, ჟურნალისტები, მასწავლებლები, ამ სარესტორნო ქსელის მომსახურე პერსონალი და ასე შემდეგ – სავალდებულოს გავხდიდი.

***– მწვანე სტატუსთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო ხელისუფლებასა და გამყრელიძე-იმნაძეს შორის. გადატანილებს რომ სამუდამოდ მწვანე სტატუსი ჰქონოდათ, ამას არ ემხრობოდნენ, თუმცა ჯერჯერობით ასე დარჩა.***

– კი, არ ეთანხმებოდნენ პრემიერს, მაგრამ ვინ გიჯერებს?! ჩვენი პრემიერი ხომ ვერ ერკვევა ვერც ეკონომიკაში, ვერც პოლიტიკასა და ფინანსებში, სამაგიეროდ, ერკვევა ინფექციურ სნეულებებში, თურმე იცის, რა არის ეპიდემიოლოგია! არ დაეთანხმნენ, მაგრამ მერე რა? არდათანხმება სერიოზული საკითხია, მაშინ უნდა თქვა, მე არ მიჯერებენ და გადავდგებიო. გამყრელიძე და იმნაძე ამას არ აკეთებენ, ამიტომ მაგათი პროტესტი გრამაფონში ნათქვამია.

***– ანტივაქსერული პროტესტიც საკმაოდ ძლიერია. ეს ხომ არ აშინებს ხელისუფლებას?***

– ხომ ნახეთ, კვირას რა ხდებოდა ანტივაქსერების აქციაზე. ძალიან საშიში და აგრესიული ხალხია. რომ შევეპასუხო, შესაძლოა, მცემონ კიდეც, იმდენად აგრესიული ხალხი იყო იქ შეკრებილი.

***– სწორედ ასეთი პროტესტის ხომ არ ეშინია პრემიერ-მინისტრს?***

– თუ პრემიერ-მინისტრი ხარ, პროტესტის კი არ უნდა გეშინოდეს, უნდა გეშინოდეს იმის, ამდენი ადამიანი რომ გიკვდება ყოველდღე! გუშინ 80 გარდაცვლილი იყო. გესმით, რა ხდება?! საერთოდ რა შუაშია, ეშინია, არ ეშინია. აი, ეს არის საშიში, ყოველდღე ამდენი გარდაცვლილი. არ გაგვიბრაზდეს ჩვენი ანტივაქსერი ამომრჩეველიო და სწორედ ამიტომ მიიღეს ეს სულელური გადაწყვეტილებები. ხომ დამთავრდა არჩევნები და ამბობ, 2024 წლამდე არ იქნებაო, მიიღე შესაბამისი ზომები! ასეთი წესებით ვერანაირ შედეგს ვერ მივაღწევთ.

***– ზამთარი დაიწყო, ალბათ, სეზონური ვირუსებიც წამოვა. ეს კიდევ უფრო ხომ არ გაართულებს სიტუაციას?***

– რა თქმა უნდა, აცივდება და წამოვა სეზონური გრიპები. ნახავთ, რამდენი პრობლემა შეიქმნება. ვირუსული გრიპი და კოვიდი, შესაძლოა, ერთად დაემართოს ადამიანს.

***– ახალ შტამზე რას იტყვით? ითქვა, რომ ფაიზერის ვაქცინა იცავს ამ შტამისგან. ასეა?***

– ჯერ არ ვიცით, რა იქნება. მე არ მიყვარს წინასწარ საუბარი. ვსაუბრობ მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ეს იქნება დაახლოებით დელტა შტამის ვარიანტი, ვაქცინაც იმუშავებს აუცილებლად. უბრალოდ, ეს შეიძლება იყოს უფრო ადვილად გადამდები, როგორც დელტა ვირუსი, ამიტომაც ეკუთვნის შეშფოთების ვარიანტს. და სად ჩნდება ეს ახალი შტამები?!

***– ძირითადად აუცრელ მოსახლეობაში.***

– რა თქმა უნდა. იქ რომ სხედან ქვეყნის სათავეში, იმათ რატომ არ ესმით ამდენი?! რატომ არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს?! 3-დან 5 დეკემბრამდე მაღალმთიან აჭარაში ვაპირებთ გასვლას, სერიოზული ჩავარდნაა და ლექციები უნდა ჩავატარო ვაქცინაციასთან დაკავშირებით.



კი, მეც სიამოვნებით ვივლი, მაგრამ სახელმწიფო უნდა მეხვეწებოდეს და ის უნდა ზრუნავდეს ამაზე და არა – არასამთავრობო ორგანიზაცია.

***– არ არის ქმედითი ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან?***

– აბსოლუტურად არა. რომ მეკითხებიან, შეცდომას სად უშვებენო და ვერ დაუშვებენ შეცდომას, როცა არაფერს აკეთებენ. მწვანე პასპორტს მაშინ ექნებოდა ფასი, თუ მხოლოდ ვაქცინირებულ ხალხს შეუშვებდნენ სხვადასხვა დაწესებულებაში. რა სწრაფი ტესტი, რის სწრაფი ტესტი. შესაძლოა, ტესტმა არასწორად გიჩვენოს და ამ დროს კოვიდი გქონდეს. მერე რას ვშვრებით?!

ე.წ. მკვდარი პერიოდი არსებობს, როდესაც ვირუსია, მაგრამ არ ჩნდება პისიარში და შეიძლება, მეორე დღიდან უკვე გავხდე გადამდები. მწვანე პასპორტი უნდა ჰქონოდათ მხოლოდ ვაქცინირებულებსა და გადატანილებს მხოლოდ 6 თვის ვადით, ისე, როგორც ევროპაშია.

# „არ გამიკვირდება, პრემიერად ირაკლი კობახიძე დაგვისვან“

## დავით ჭიჭინაძე: „სააკაშვილმა მელია მეორე ფლანგზე გადასწია“

ნათია ხურცილავა

**პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, შეძლებს პოზიციების დაბრუნებას?***

– დღეს ნაციონალური მოძრაობა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას ახორციელებს. პარტიის რეალური ლიდერი გამოჩნდა, ვინც არის. ნიკა მელია ფორმალურად არის თავმჯდომარე. მიხეილ სააკაშვილმა ის მეორე ფლანგზე გადასწია. ეს აშკარად გამოჩნდა.

***– „ქართული ოცნება“ ამ პროცესებში რამდენად ადეკვატურია?***

– როგორც ჩანს, ნელ-ნელა მიხვდნენ, რომ ის პრობლემები, რომლებიც შეუქმნეს სააკაშვილს, არ იყო შესაქმნელი. ქვეყნის მთავარ პოლიტიკად აქციეს სააკაშვილის შიმშილობა, შემდეგ – საავადმყოფოში გადაყვანა-არგადაყვანის საკითხი. არ იყო სწორი ანგარიშსწორება. არ იყო საჭირო მთელი ქვეყნის დაშანტაჟება და ამ დაძაბულ რეჟიმში ყოფნა.



რეალური საქმეები რომ აკეთონ, ამის კომპეტენცია არ ჰყოფნით, ამიტომ ასეთი „საქმეებით“ არიან დაკავებული. იმის შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილზე თქვა, ღარიბაშვილი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, გარდაიცვალა.

***– ამას ხომ არ უკავშირებთ გავრცელებულ ხმებს, რომ უკვე მის შემცვლელებზეა საუბარი?***

– თვითონ უნდა წასულიყო. არ შეიძლება, პირადი რეპუტაცია არაფრად გიღირდეს ადამიანს.

***– რა ინფორმაცია გაქვთ, ვინ შეიძლება, განიხილებოდეს?***

– ალბათ უფრო კახა კუჭავა, თუმცა ბოლო დროს ისეთი ნაბიჯები იდგმება და ისეთი განცხადებები კეთდება, არც ის გამიკვირდება, რომ ირაკლი კობახიძე დაგვისვან პრემიერად.

ისე, გააჩნია, რა მოცემულობა ექნება „ქართულ ოცნებას“, რა მიზნებს დაისახავენ. თუ საერთაშორისო სარბიელზე იმიჯის შეცვლას დაისახავენ მიზნად, მაშინ ალბათ კახა კუჭავას დანიშნავენ. თუ მიზანი იქნება შიგნით უფრო გაძლიერება და ივანიშვილის ვერტიკალის კიდევ უფრო გაზრდა ფინანსების კონტროლის კუთხით, მაშინ ინფრასტრუქტურის მინისტრი ქარსელაძე იქნება წარმოდგენილი. იმ მომენტის მოცემულობის შესაბამისი დანიშვნა იქნება.

მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა ისაუბრა, პრემიერის ფუნქცია არაფერს არ წარმოადგენს ამ ქვეყანაში. როგორც გაირკვა, მისთვის არაფერს არ ნიშნავს პრემიერი, როგორც ასეთი. არც პარლამენტის თავმჯდომარე ნიშნავს არაფერს, მმართველი პარტიის თავმჯდომარეც არაფერია მისთვის. მთავარია, მის კარზე იყო მართალი კაცი.

***– ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით?***

– თუ ოპოზიცია თავს დაანებებს ფასადურ პროტესტს, უკეთესია. „ქართული ოცნებისთვის“ დღეს ყველაზე დიდი პრობლემა თავად ის პრობლემებია, რომელთა წინაშეც ქვეყანა, ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე დგას. ამ ქვეყნის მოქალაქეები მშვენივრად ხედავენ, რომ ამ პრობლემების გადაჭრას, მოგვარებას ესენი ვერ ახერხებენ. ამ ხელისუფლებას სახელმწიფოს მართვის რესურსი არ გააჩნია. ხელისუფლება ჩიხშია შესული. ამას ხედავს ყველა. ამიტომ შიდა რღვევა გარდაუვალია. როდესაც არაფერი არ ხდება და ჭაობია, მერე უკვე შიდა ძალები თვითგადარჩენისთვის გააქტიურებას იწყებენ.

***– ეს რამდენად არის მოსალოდნელი?***

– სავსებით მოსალოდნელია. თუ აქამდე გუნდის შიგნითაც და მათ მხარდამჭერებშიც „მიშა მოდის“ იყო მაკონსოლიდირებელი, ახლა უკვე ეს ფაქტორიც აღარ არსებობს, მიშა ჩამოვიდა და არც არაფერი არ მოხდა. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ უკვე „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით დაიწყოს საკმაოდ სერიოზული პრობლემები.

***– ირაკლი კობახიძე დღის წესრიგის ცვლილებაზე საუბრობს. შეიძლება, აწყობდეთ კიდეც დღის წესრიგის შეცვლა?***

– არა მგონია, რომ აწყობდეთ. ეს უფრო შიდამოხმარებისთვის გაკეთებული განცხადებაა. თუ დღის წესრიგად მათ მიხეილ სააკაშვილთან ბრძოლა მიაჩნიათ, ეს მათივე შექმნილი დღის წესრიგია, რომლითაც მოვიდნენ დღემდე.

ეს რომ არ აწყობდეთ, აქამდე ცხრაჯერ შეცვლიდნენ.

# კახა კალაძე: „მომავალ წელს 200 ცალი 18-მეტრიანი ავტობუსების შეძენას ვაპირებთ“

– რატომ დადიან ავტობუსები დაგვიანებით? – ეს ხდება საცობების გამო. ამიტომ არის ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები იმისკენ, რომ ქალაქში ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს პროექტების მიხედვით გავაჩინოთ საავტობუსო ზოლები.

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც დედაქალაქის მერმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტმა 180 ერთეული ავტობუსი შეიძინა. დამატებით თბილისში, მომავალ წელს 200 ერთეული ავტობუსი შემოვა.

– რატომ დადიან ავტობუსები დაგვიანებით? – შარშან დამატებით 180 ერთეული ავტობუსი შევიძინეთ, რომელიც წლის ბოლომდე სრულად შემოვა. ამასთან, მიკროავტობუსები ემატება და მომავალ წელს 200 ერთეულის 18-მეტრიანი ავტობუსების შეძენას ვაპირებთ. რაც შეეხება დაგვიანებას, ეს ხდება საცობების გამო. ამიტომ არის ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები იმისკენ, რომ ქალაქში ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროს, პროექტების მიხედვით გავაჩინოთ საავტობუსო ზოლები.

ეს რამდენიმე ქუჩაზეა, რაც არ არის საკმარისი. ეს უნდა მოხდეს მთელი ქალაქის მასშტაბით. ცხადია, ყველგან ვერ გაკეთდება, რადგან ყველა ქუჩას სჭირდება კვლევა და ამის შედეგად ხდება გადაწყვეტილებების მიღება სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით. საზოგადოებრივი ტრანსპორტი იქნება ყველაზე სწრაფი და კომფორტული, – განაცხადა კალაძემ.

# თეა ახვლედიანის მოადგილედ შოთა რეხვიაშვილი დაინიშნა



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თეა ახვლედიანის 2021 წლის 1 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე შოთა რეხვიაშვილი სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

შოთა რეხვიაშვილი 2018 წლიდან დღემდე ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის პოზიციას იკავებდა.

2014-2018 წლებში ის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე იყო, ხოლო 2012-2013 წლებში მას საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის პოსტი ეკავა.

1993 წლიდან 2012 წლამდე შოთა რეხვიაშვილი დასაქმებული იყო სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში.

# გურამ აბულაძე: „პრემიერის უშუალო ჩართულობით ძვირადღირებული მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხები გამოიყო“



არასამთავრობო ორგანიზაცია „სკა ფაუნდეიშენ საქართველოს“ თავმჯდომარე გურამ აბულაძე ძვირად ღირებული მედიკამენტების შესაძენად მთავრობისგან მიღებულ დაფინანსებაზე საინფორმაციო სააგენტო პიასთან საუბრობს და აცხადებს, რომ ძალიან კმაყოფილია.

გურამ აბულაძის თქმით, ძვირადღირებული პრეპარატის შეძენა და თანხების გამოყოფა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის უშუალო ჩართულობით მოხდა.

– ძალიან დიდი ხანია, ვიბრძვით იმის შესახებ, რომ გავიგოთ, რაიმე სამკურნალო პრეპარატი თუ არსებობს. 2016 წელს გამოჩნდა პირველად, მაშინ რამდენიმე ექსპერიმენტული პრეპარატი იყო. მას შემდეგ კვლევებში ვართ და უკვე რამდენიმე წელიწადია გამოვიდა ეს პრეპარატი. ეს ყველაზე ძვირად ღირებულია.

მას შემდეგ, რაც ეს წამალი შემოვიდა და გავედით ამ კომპანიასთან კონტაქტზე, წერილების მიტანა დავიწყეთ მთავრობაში. როგორც იქნა, მივედით იმ ეტაპზე, რომ დაფინანსება მივიღეთ და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

მთავრობის მეთაურის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით და უშუალო ჩართულობით მოხდა ამ ძვირადღირებული მედიკამენტის შეძენა და მისთვის თანხების გამოყოფა. მადლობა ამისთვის პრემიერ-მინისტრს.

დაფინანსება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ამ მედიკამენტის მიღება დაიწყონ ყველაზე მძიმე პაციენტებმა. მთავრობის მხარდაჭერით ძალიან კმაყოფილი ვარ. მივწერეთ წერილი მთავრობას და შესაბამისად თანხებიც გამოიყო, – აცხადებს გურამ აბულაძე.

# „სააკაშვილმა დანარჩენ ოპოზიციას პირწმინდად მოუგო“

## მამუკა გიორგაძე: „საქართველოში რუსული სპექტაკლები გრძელდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**როგორი დღის წესრიგით მიმდინარეობს მოვლენები ქართულ პოლიტიკაში? ვინ ეხმარება სააკაშვილს? რაზეა დამოკიდებული რუსული სცენარების ფინალი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს მამუკა გიორგაძეს ესაუბრა.**

***– „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებენ, რომ შესაცვლელია პოლიტიკური დღის წესრიგი. თქვენ მუდმივად ამბობთ, რომ ქართულ პოლიტიკაში იდგმება სცენარები, ყურადღება გადადის ხელოვნურ მომენტებზე და უკან გვრჩება პრობლემები. მმართველ პარტიასაც უნდა დღის წესრიგის შეცვლა?***

– მმართველი პარტია ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს სპექტაკლში. თუ არჩევნების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს დავაკვირდებით და სპორტულ ტერმინოლოგიას მივმართავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“ (ხელისუფლება) ცდილობს, მეორე ნომრად ითამაშოს. ხელისუფლება ცხოვრობს ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩამოყალიბებული დღის წესრიგით. ამავე დროს, თამაშდება დაპირისპირების სცენები. ამაში ახალს ვერაფერს ვხედავ. ეს ყველაფერი გავლილი გვაქვს. ადრეც გვინახავს, რომ ესა თუ ის მმართველი პარტია არ აგებს თავის მოქმედებებს პოზიტივზე.

***– „ქართული ოცნება“ პოზიტივზე არ აგებს თავის მოქმედებებს?***

– დიახ. ისევე, როგორც წარსულში მოქალაქეთა კავშირი, ნაცმოძრაობა, ესენიც აწყობილი არიან ოპონენტების სიცუდეზე. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ნეგატიური იყო ხან ასლან აბაშიძე, ხან ნინო ბურჯანაძე, ხან იგორ გიორგაძე და ხან – ძმები გაჩეჩილაძეები. ოპონენტისგან მტრის შექმნა ბოლშევიკური სტილია. საქართველოში მმართველი პარტიები, მოქკავშირით დაწყებული, „ქართული ოცნებით“ დამთავრებული, ამ სტილს ერთგულობენ. ისტორიას მსგავსი მოვლენები ახსოვს – სტალინი, ბუხარინი და კამენევი მტრობდნენ ტროცკის, შემდეგ იყო სხვა კონფლიქტები, მოგვიანებით შემოვიდნენ იაგოდა, ბერია. სიმწვავე არ შენელებულა.



**„კობახიძესა და მდინარაძეს არავინ არაფერს ეკითხება“**

***– დღეს მმართველი პარტია ნაცმოძრაობის დღის წესრიგს მიჰყვება?***

– არამარტო მიჰყვება. ხელისუფლება ყველა ინიციატივას უთმობს სააკაშვილს.

***– ამას 29 ნოემბერს გამართულ სააკაშვილის სასამართლო პროცესის საფუძველზე ამბობთ?***

– მაგ პროცესზეც დამტკიცდა, რომ სააკაშვილს აძლევენ ბურთსა და მოედანს. 7 ნოემბრის მოვლენებზე არსებით მსჯელობას სააკაშვილი განარიდეს. გვეუბნებიან, რომ ეს ხდება ექიმების რჩევით. სამაგიეროდ, მას ჰქონდა პოლიტიკური გამოსვლა. ეს იყო ნამდვილი პოლიტიკური მოხსენება სასამართლო სხდომაზე.

ჩვენ ვაკვირდებით, როგორ უთმობს ასპარეზს სააკაშვილს „დემოკრატიული სასამართლო“, როგორ ცდილობენ მისი პოლიტიკური საქმიანობის წახალისებას სახალხო დამცველი, მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს ხდება ხელისუფლების თანხმობით. ყველა გზით ხდება სააკაშვილის პოლიტიკური აქტუალიზაცია და მისი პოლიტიკაში აქტიურად შემოყვანა. ინტერვიუს დასაწყისში „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებაზე კომენტარი მთხოვეთ. ყველა შეკითხვა უნდა დაისვას, მაგრამ ვინ რას ეკითხება კობახიძესა და მდინარაძეს?! კობახიძესა და მდინარაძეს არავინ არაფერს ეკითხება იმ მოვლენებში, რომლებიც ვითარდება. ისინი თავიანთ წილ როლებს ასრულებენ პოლიტიკურ სანახაობაში, რომელიც რაც შეიძლება თვალწარმტაცი უნდა იყოს. აქ საინტერესოა იმ პიროვნების წვლილი, რომელმაც მოსამართლეებს დაავალა, ასე „დემოკრატიულად“ მოქცეულიყვნენ.

***– სააკაშვილის ერთმა ფრაზამ 7 ნოემბრის მოვლენებზე გამოიწვია იმ ოპოზიციონერი პოლიტიკოსების განაწყენება, რომლებიც ცოტა ხნის წინ ნაცმოძრაობასთან ერთად იყვნენ ოპოზიციურ ერთობაში. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ 2007 წლის ნოემბერში აქციები რუსეთიდან იყო მართული.***

– რუსეთის სახელის გამოყენებაც ჩვეულებრივი ამბავია. იმისთვის, რომ შექმნა მოცემულობა, სპექტაკლის მონაწილემ უნდა წარმოაჩინო, რომ ებრძვი რუსეთს. იმაშიც კი არწმუნებენ ხალხს, რომ რუსეთის ჯარი 2008 წელს თბილისში უნდა შემოსულიყო და სააკაშვილის მკაფიო პოზიციამ ეს განზრახვა ჩაშალა. ხალხო, 21-ე საუკუნეა! ყველაფერი სხვანაირად ხდება. რისთვის სჭირდებოდა კრემლს თბილისის აღება?! ჯერ ერთი, აღებულ ქალაქს შენარჩუნება დასჭირდებოდა. მეორეც, გავლენა რუსეთმა ისედაც დაამყარა და გააძლიერა. თავისი ნების გამტარებელი ხელისუფლება ჰყავდა და დედაქალაქის ჯარით აღება ზედმეტი იქნებოდა. სინამდვილეში, ნაცმოძრაობისა და სააკაშვილის ქმედებები ნაკარნახევი იყო რუსეთის ინტერესებით. ის აკეთებდა და აკეთებს რუსულ საქმეს.

***– დღეს რა მიზანი აქვს რუსეთს?***

– რუსეთს საქართველოში სჭირდება მუდმივი ქაოსი, ჩამორჩენა და განუვითარებლობა. იგივე მიზნები აქვს უკრაინასა და მოლდოვაში. მოსკოვს არ სჭირდება მშვიდობა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ესაჭიროება თბილისზე ზეწოლისთვის. ამისთვის იყენებს ოკუპირებულ ტერიტორიებს. აბა, მათ განვითარებაზე კი არ ფიქრობს! იქაც ქაოსს ქმნის.

ანტირუსულ გამოსვლებს აგრძელებს სააკაშვილი, რომელმაც, ტერიტორიების გარდა, რუსეთს ჩააბარა ეკონომიკის დიდი ნაწილი. ენერგეტიკა ლამის მთლიანად მოაქცია რუსეთის ხელში. საქართველო იმართება რუსული სტილით. რუსულ საქმეს სააკაშვილი და ივანიშვილი ერთობლივად აკეთებენ.

***– სასამართლო რეფორმაც ვერ გატარდა?***

– პოლიტიკური სანახაობა ანუ რუსული სპექტაკლები გრძელდება. უამრავ პრობლემაში ჩაძირულ ადამიანებს ხშირად უჭირთ ვითარების გაანალიზება. სააკაშვილის მოქმედებებს წინ უძღოდა 50-დღიანი შიმშილობა. შიმშილობდა თუ არა ნამდვილად, ამაზე არ ვისაუბრებ. ამან გამახსენა ოცი წლის წინანდელი ისტორია, როცა სააკაშვილი ოპოზიციონერის სახელით კენჭს იყრიდა ვაკეში. ქალაქის ხელმძღვანელობაც მისი მხარდამჭერი იყო, სხვა ბევრი აშკარა თანამოაზრეც ჰყავდა. გამოდიოდა, რომ სააკაშვილის წინააღმდეგი მარტო შევარდნაძე იყო. სააკაშვილმა იმ არჩევნებში გაიმარჯვა და დაიწყო მისი პოლიტიკური აღმასვლა. დღესაც ყველა ღონეს ხმარობენ მისი აქტუალიზაციისათვის. იმ დროს სააკაშვილის ოპონენტებად გამოდიოდნენ ჯაბა იოსელიანი, ირინა სარიშვილი, „ახალი მემარჯვენეები“. მაშინ სპექტაკლი შედგა.

გადავალ ოპოზიციონერებზე, რომლებიც, თქვენი თქმით, მან გაანაწყენა. თავის დროზე მან ჟვანია და ბურჯანაძეც მოიმდურა, თუმცა მათ აჯობა.

***– ახლა რა ხდება?***

– იგივე. სააკაშვილმა დანარჩენ ოპოზიციას პირწმინდად მოუგო. სხვა ოპოზიციონერები, რომლებიც ნაცმოძრაობასთან იყვნენ, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი ან უნდა აეკიდონ ნაციონალურ მოძრაობას, ან უნდა გაემიჯნონ.

***– სააკაშვილის კიდევ ერთ პოლიტიკურ აღმავლობას ელით? ხელის შეწყობის შემთხვევაშიც ეს არ იქნება ადვილი.***

– სააკაშვილს რუსეთი დესტრუქციისთვის იყენებს. რაც შეეხება სპექტაკლის ფინალს, ეს სხვადასხვა გარემოებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, იმაზე, მოახერხებს თუ არა სააკაშვილი თავის გარშემო ადამიანების შემოკრებას; იქნება თუ არა ხელისუფლება მტკიცე; რას იზამს დასავლეთი და, რაც მთავარია, როგორ პოზიციას დაიკავებს საზოგადოება.

საინტერესოა, გააბითურებინებს თუ არა გარკვეულ ძალებს ხალხი თავს ისე, როგორც ეს მოხდა 2003 წელს. თუ ხალხმა კიდევ გააბრიყვებინა ვინმეს თავი, არა მგონია, საქართველოს ვინმემ უშველოს. წესით, სააკაშვილის 29 ნოემბრის „პოლიტიკურ მოხსენებას“ ადამიანები უნდა დაეფიქრებინა.

# „7 ნოემბერს ბურჯანაძე მიშას უყვიროდა, გიჟი ხარ, გიჟიო!“

## პეტრე მამრაძე: „სააკაშვილის სასამართლოში გამოსვლა არაჟნების ფურგონში ბოდვის გაგრძელება იყო“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.**

***– ბატონო პეტრე, როგორი სურათი შექმნა სააკაშვილმა სასამართლოში თავისი გამოსვლისას?***

– საცოდაობა იყო, არაჟნების ფურგონში ბოდვის გაგრძელება გახლდათ. გვარამიაც კი შეწუხდა და რაღაც ქაღალდიც კი მიაწოდა. ცხადია, გვარამია მიხვდა, რასაც ამბობდა, ძალიან წამგებიანი იყო მათთვის.

***– თუ თქვა ისეთი რამ, რაც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ?***

– მან საკუთარი თავი ამხილა, დაწყებული იმით, რომ არ ცნობს საქართველოს სასამართლოსა და პროკურატურას.

თავისი ვითომდა დიდი დამსახურებები ჩამოთვლა: სახელმწიფო მე შევქმენი, უდიდესი რეფორმატორი ვარ, ერთადერთი, თავისუფალი სასამართლო ვერ შევქმენიო, რაზეც ბოდიშიც კი მოიხადა. ამას იმიტომ ვამბობ, ეს, ცხადია, ფანტასტიკური ტყუილია, მაგრამ, დავუშვათ, მართალი ყოფილიყო, რა კავშირი აქვს დამსახურებას ჩადენილ დანაშაულთან?

***– სააკაშვილმა, ფაქტობრივად, თქვა, როგორ ბედავთ და მაპატიმრებთო.***

– ასე იყო. არაადეკვატურია. მას სჭირს განდიდების მანია. როგორც ერთხელ უცხოელმა დიპლომატებმა მითხრეს, ამ განდიდების მანიაში შედის ის, რომ არათუ დაპატიმრება, არამედ რაიმე დანაშაულში მისი მხილებაც კი არ შეიძლება. გაიხსენეთ, როგორ გავარდა პარლამენტის დარბაზიდან, როდესაც ბაღათურიამ რეესტრიდან ამოღებული საბუთები უჩვენა.

***– სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვაში სააკაშვილმა 7 ნოემბრის დარბევები მთლიანად მერაბიშვილს გადააბრალა.***

– ეს ამაზრზენი რამ არის. ის ყოველთვის მზადაა, ნებისმიერი ადამიანი ჩაუშვას, დააბრალოს ის, რაც არ გაუკეთებია.

***– თქვა, რომ მერაბიშვილმა ჩაიდინა დანაშაული, მე უდანაშაულო ვარ, ამ დარბევებს ტელევიზიით ვუყურებდიო.***

– მოგიყვებით, როგორ იყო. იმ დღეს მთავრობის სხდომა მიმდინარეობდა. მაშინ მთავრობის კანცელარიის უფროსი ვიყავი და მთავრობის სხდომას ყოველთვის ვესწრებოდი. ჩვეულებრივი სხდომა იყო. სხდომა ზურაბ ნოღაიდელს მიჰყავდა. ამ დროს კარზე ბრახუნი გაისმა. ეს იყო სრულიად უჩვეულო რამ. კართან დაცვა დგას. გაიღო კარი და რამდენიმე ჟურნალისტი შემოვიდა ყვირილით, თქვენ აქ ყველანი მშვიდად სხედხართ, ნახეთ, გარეთ რა ხდება, ხალხს სცემენ და პარლამენტის წინ უბედურება ტრიალებსო.

რადგან ჩაკეტილი ვიყავით, მთავრობის სხდომაზე ხმა არ შემოდიოდა. ნოღაიდელი ადგა და უკანა ოთახში გავარდა. მერე მომიყვა, რომ დაურეკა სააკაშვილს, რომელმაც უთხრა, არაფერი ისეთი არ ხდება, შენ მანდ მთავრობასა და მის შემადგენლობას მიხედე, ჩვენ აქ ყველანი ერთად ვართ და ყველაფერს ვმართავთო.

***– ყველანი ვინ? შს მინისტრი მთავრობის წევრი არ იყო?***

– ჩემი ანგარიშით, ყველანი იყვნენ, ვთქვათ, ნიკა რურუა, უგულავა, კიდევ ერთიორი ადამიანი. მთავრობის სხდომა აღარ გაგრძელდა. მე ნინო ბურჯანაძეს დავურეკე და ვუთხარი, ღმერთმა ნუ ქნას, რაც პარლამენტის წინ ხდება, დესტაბილიზაციაში გადაიზარდოსმეთქი. ეს პირდაპირ ვუთხარი, რადგან სააკაშვილს ძალიან ახლოს ვიცნობ. ალბათ გახსოვთ, რა ხდებოდა მაშინ პარლამენტის წინ.

***– დიახ. იმ დილით იქ რამდენიმე კაცი იმყოფებოდა, როცა დაარბიეს. ამან ხალხის აღელვება და მოზღვავება გამოიწვია.***

– მე ველაპარაკე ყველას, ვინც მაშინ საძილე ტომარაში შეძვრა. ერთი-ორმა გულახდილად მითხრა, რომ როგორც პოლიტიკოსებს, არაფრის იმედი აღარ ჰქონდათ, ფიქრობდნენ, რომ იმ ტომრებში პოლიტიკურადაც ჩალპებოდნენ და ფიზიკურადაც: ხალხი აღარ გვეკარებოდა, უცებ სააკაშვილმა მადლი მოიღო და დაგვარბიაო.

როგორც მერე გავიგე, თურმე მაშინ სააკაშვილი ყვიროდა, ახლა თბილისი ისევ კარვების ქალაქი იქნება, რაც ვაკეთეთ, ყველაფერი წყალში ჩაიყრება, ჩვენ ამას ვერ დავუშვებთო. ამიტომ იმ 9 კაცის დასარბევად ხალხი გააგზავნა.

ამას მოჰყვა ხალხის გამოსვლა, რასაც სააკაშვილის დავალებით დაუპირისპირეს წყალი, გაზი და ა.შ. ასე აგორდა და მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. თუ გახსოვთ, დარბევები იყო.



***– დიახ, იქ ვიყავი, დავინახე, როგორ ესროლეს გაზის ბალონი ქაშვეთთან მდგარ ადამიანებს. შემდეგ ერთ-ერთ ბაღთან დავდექი თაბუკაშვილის ქუჩაზე (ბაღში ჩემი შვილი იმყოფებოდა), სადაც დამრბევები შევარდნას ლამობდნენ. მათ გადავუდექი, აქ რა გინდათ, მხოლოდ ბავშვები არიან-მეთქი. თაბუკაშვილის ქუჩაზე ნაცემი სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც შეგვხვდა და ინტერვიუ ჩავწერე. ზევით ოპერასთანაც და შემდეგ რიყეზეც ვიყავი, სადაც გაუჩერებლად არბევდნენ ხალხს, ზოგს სამებამდე სდიეს.***

– მოხუცი კაცი წააქციეს, კლავდნენ. კიდევ კარგი, ადამიანები მიეშველნენ. არავის ინდობდნენ. მაშინ ველაპარაკე ბურჯანაძეს და მითხრა, გადმოდიო. ბურჯანაძესთან რომ შევედი, სააკაშვილს ელაპარაკებოდა და ხელით მანიშნა, დარჩიო. დავრჩი. იცით, როგორ უყვიროდა? თან ქუჩაში იყურებოდა.

***– სააკაშვილი ყვიროდა თუ ბურჯანაძე?***

– ბურჯანაძე უყვიროდა სააკაშვილს: შენ გიჟი ხარ, გიჟი! მიშა, ეს შენი პრეზიდენტობის ბოლო დღეა, ეს მაინც გაიგე! – ასე უყვიროდა ქალბატონი ნინო სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს. დღეს სად არის, სხვა საქმეა.

***– მერე გადადგა და ახალი არჩევნები ჩატარდა.***

– სააკაშვილის ნების გარეშე არათუ 7 ნოემბერს იმ ტომარაში შემძვრალ პოლიტიკოსებს ხელს არავინ მოჰკიდებდა, არამედ არც ერთი სხვა ფაქტი არ მოხდებოდა – არც კორტების ოპერაცია ჩატარდებოდა, არც პოლკოვნიკ თეთრაძეს დააპატიმრებდნენ და წამებით ამოხდიდნენ სულს.

ორი ვარიანტი იყო: ერთი, როდესაც თვითონ მიშა პირდაპირ ავალებდა, ეს გააკეთეთო. სიტყვის შებრუნებას ვერ ბედავდნენ და მერაბიშვილი იცინოდა, ასე ხომ არ სჯობს, ისე ხომ არ სჯობს, რომ შემსუბუქდესო.

სოზარ სუბარმა ხომ თქვა, ბათუმში დათო ცინდელიანი და როინ შავაძე რომ მოკლეს, იქ მესამე კაციც მიჰყავდათ ჯიპით მოსაკლავად. ის მესამე კაცი კი გადაარჩინა მერაბიშვილმა, აუხსნა. მერაბიშვილს კი არ ვამართლებ, დამნაშავეა, მაგრამ ერთია, როცა ადამიანი თავისი ინიციატივით გამოდის და არწმუნებს პრეზიდენტს.

მერაბიშვილის მდგომარეობა წარმოიდგინეთ. მერაბიშვილი ფსიქიკურად ხომ ნორმალურია და ძალიან კარგად იცის, როგორი ფსიქოპათიურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისაგან დაევალა, ახლა კარვების ქალაქი არ გვინდა და ახლავე ალაგმეთ ეს ყველაფერიო.

***– უკრაინულად და ინგლისურად მსოფლიო საზოგადოებისთვის მიმართვებიც განდიდების მანიის ნაწილი იყო?***

– ეს იყო დემონსტრირება იმისა, რომ მარტო დიდი ქართველი მოღვაწე კი არ არის, აღმაშენებლისა და მეფე დემეტრე თავდადებულის დარი, არამედ უკრაინაში ორჯერ შესთავაზეს პრემიერობა და უარი თქვა. მისი კაბინეტი პირდაპირ ზელენსკის კაბინეტის თავზეა. ამის თქმაც მოასწრო.

***– იმის თქმაც მოასწრო, ფუფუნებაში რომ ცხოვრობდა.***

– უკრაინის რადის ფრაქციამ მადლობის წერილი გამოუგზავნა საქართველოს მთავრობას, რომ ეყოთ ვაჟკაცობა, პრინციპულობა და გასტროლიორი, აფერისტი სააკაშვილი დააპატიმრეს, რომელმაც უკრაინას ამდენი ზარალი მიგაყენა – ყოველთვიურად მისი შენახვა რამდენიმე ათეული ათასი დოლარი ჯდებოდაო.

***– ხომ შეიძლება, სააკაშვილმა ის თქვას, ვინ აღასრულა მისი დავალება.***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა ჯერ კიდევ დიდ გულზეა, გორში გადაყვანა მისთვის გამარჯვება იყო. სააკაშვილი ასე აღიქვამს, აი, ხომ ვთქვი, გადამიყვანეთ, თორემ... და გადაიყვანეს.

# პროკურორების შეურაცხყოფის გამო ნიკა გვარამიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

პროკურატურის ინფორმაციით, ადვოკატმა ნიკა გვარამიამ პროკურორებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა, რაზეც გამოძიება დაიწყო.

საქმე ეხება 29 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილის ბრალდების საქმის სასამართლო განხილვას. პროკურატურის მტკიცებით, ადვოკატმა ნიკა გვარამიამ სამართალწარმოების მონაწილეებს – პროკურორებს მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით, რაც იმ მომენტში სასამართლოსა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეების ყურადღების მიღმა დარჩა, თუმცა მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესის ტრანსლირებისას საჯარო სივრცეში გავრცელებული ვიდეო კადრების საფუძველზე პროკურატურამ დღეს გამოძიება დაიწყო.

ამასთან, პროკურატურა მორიგ სხდომაზე სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს და ნიკა გვარამიას სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებას მოითხოვს.

პროკურატურამ უკვე მიმართა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებაზე.

გამოძიება სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო.

„თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში გამოძიება დაიწყო სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.



ასევე, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, საქართველოს პროკურატურამ უკვე მიმართა სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას ნიკა გვარამიას ზემოაღნიშნული ქმედების სამართლებრივი შეფასებისა და მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებაზე", – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

პროკურატურის მიერ მის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ნიკა გვარამია ფეისბუქში ასე გამოეხმაურა:

„საქართველოს პროკურატურავ, მოგიყვებით ცნობილ ისტორიას ქალბატონ ელენე თევდორაძეზე. ბევრჯერ მომიყოლია საჯაროდ და თქვენთვის კიდევ ერთხელ გავიმეორებ.

ერთხელ ბიუროს სხდომაზე ქალბატონ ელენეს ზურაბ ჟვანიამ უთხრა, ქალბატონო ელენე, თქვენ მგონი გამოსაკვლევი ხართო. ამაზე ქალბატონმა ელენემ უპასუხა, ბატონო ზურაბ, ჩვენ კველანი ისედაც გამოკვლევებულები ვართო.

გუშინ პროცესზე პროკურორმა გვითხრა, გამოსაკვლევი ხართო, რაზეც ვუპასუხე, რომ თვითონ ხომ არიან სამაგიეროდ ყველანი გამოკვლევებულები.

კადრებში ნათლად ისმის, რას მპასუხობს ამაზე პროკურორი – რას ნიშნავს, ეს რა შეფასებააო, თუ ეს რა სიტყვააო – ანუ გაიგონა, რაც ვუთხარი, არ გამორჩენია. ისიც ნათლად ჩანს, რომ ჩვენ შორის დიალოგი მიმდინარეობს, ანუ ან უეცარი სიყრუე დაემართა სამივე პროკურორს, ან უეცრად ისე შეეშინდათ ჩემი, რომ პასუხი ვერ გამცეს, ან თქვენ მიერ წარმოდგენილი სიტყვა გამო@@@ებულის შინაარსი აქამდე არ იცოდნენ და მხოლოდ სამსახურში მისულებს აუხსნეს.

თუ თქვენ მიერ წარმოდგენილი სკაბრეზული სიტყვა ვიხმარე, პროტესტი როგორ არ გაუჩნდა რომელიმე პროკურორს მაინც? იქვე იჯდა სამი მოსამართლე და კიდევ ორი პროკურორი. თქვენ ყველანი ან ყრუებად გამოაცხადეთ, ან ჩემ მიერ უკიდურესად შეშინებულებად.

მინდა, იგივე ვაცნობო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასაც.

ჩემ წინააღმდეგ აღძრული, უფრო სწორად, შეკერილი კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე გულწრფელად არც მაინტერესებს, მით უფრო, არ მაშინებს. თალეთ კომბლებივით ეგ საქმეები და ჭერში აწყვეთ.

პს. ამ კვირაში უკვე სამოქალაქო წარმოებაც დაიწყეს ჩემ წინააღმდეგ და ორწელიწად-ნახევრის წინ რ2ის 9%-ის მოწილე ნინო ნიჟარაძის მიერ შეტანილი და თაროზე შემოდებული სარჩელი გააცოცხლეს და ამხელა დროის შემდეგ კვლავ პირველად ჩანიშნეს სხდომა. არც მე, არც ადვოკატებსა და სხვა ფიგურანტებს საქმის შინაარსიც კი არ გვახსოვს".

# შსს-მ თბილისში 10 ნარკორეალიზატორი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ნოემბერში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა დროს, ფონიჭალის დასახლებასა და თბილისის სხვა უბნებში 12 პირი, მათ შორის 10 ნარკორეალიზატორი დააკავეს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„ნარკოტიკების უკანონო გასაღებისთვის დაკავებული არიან: 1989 წელს დაბადებული გ. ა., 1978 წელს დაბადებული დ.ვ., 1978 წელს დაბადებული თ.ი., 1981 წელს დაბადებული ბ.ც., აზერბაიჯანის მოქალაქე, 1996 წელს დაბადებული შ.ა., 1982 წელს დაბადებული ა.ე., 1984 წელს დაბადებული ს.ც., 2004 წელს დაბადებული ე.კ., 2004 წლს დაბადებული ნ.გ., 2000 წელს დაბადებული ნ.დ., ხოლო 2 პირი – 1982 წელს დაბადებული ა.დ., 1988 წელს დაბადებული ვ.ჟ. დაკავებული არიან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისთვის.

დანაშაულები 8-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები ნარკორეალიზატორები სისტემატურად ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენიმეჯერ განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების – „ჰეროინის", „ბუპრენორფინისა" და „ალფა-პვპ"-ს საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ, ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დაკავებული ვ.ჟ.-ს პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო ნარკოტიკული საშუალება „მდმა"-ს შემცველი 99 აბი, ხოლო ა.დ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ნარკოტიკულ საშუალება „მდმა"-ს შემცველი 30 აბი, „ამფეტამინის" შემცველი 10 აბი და 19 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინის" შემცველი ნივთიერება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასა და გასაღებას გულისხმობს", – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# საბურთალოზე 2 მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

30 ნოემბერს, ღამით, თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩაზე, 2 მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. მამაკაცები ნაქირავებ სახლში ცხოვრობდნენ.

პირველადი ინფორმაციით, მათი სიკვდილის მიზეზი გაზის გაჟონვა გახდა.

თბილგაზის ცნობით, გაზის აპარატი თვითნებურად იყო მიერთებული, რამაც ეს უბედური შემთხვევა გამოიწვია.

გარდაცვლილები საქართველოს მოქალაქეები არ არიან. ისინი, სავარაუდოდ, ირანის მოქალაქეები არიან, რომელთაგან ერთი – 33 წლამდე, ხოლო მეორე 40 წლამდე ასაკის იყო.

– საქართველოს მოქალაქეები არ არიან. ღია წვის კამერიანი წყლის გამაცხელებელი დაგვხვდა ადგილზე, რომელიც მანამდე ჩვენ მიერ იყო ჩახსნილი და თვითნებურ მიერთებას ჰქონდა ადგილი, რამაც, სავარაუდოდ, ნახშირჟანგის დაგროვება გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ ბინა იყო გაქირავებული. სტატისტიკურად ხშირად სწორედ გაქირავებულ ბინებშია უმეტესად ასეთი შემთხვევები, – აცხადებენ „თბილისი ენერჯიში".

# „მეგონა, გაზი აფეთქდა, თურმე ბავშვი ეგდო მიწაზე"

## რუსთავში 13 წლის გოგონა მე-4 სართულიდან გადავარდა

რუსთავში, მე-12 მიკრორაიონში, მე-4 სართულის აივნიდან 13 წლის გოგო გადავარდა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის" ინფორმაციით, შემთხვევის დროს მოზარდი აივანზე გაფენილ სარეცხს იღებდა.

– რაღაც ძალიან ძლიერი დაცემის ხმა იყო. მეგონა, გაზი აფეთქდა სადღაც. იქით ვიყურებოდი, თურმე ბავშვი ეგდო დაბლა, – განუცხადეს „ინფო რუსთავს" მოზარდის მეზობლებმა.

დაშავებული თავდაპირველად სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში" გადაიყვანა. სამედიცინო დაწესებულების გადაუდებელი დახმარების განყოფილების ექიმ მარინა კავთუაშვილის თქმით, პაციენტს ჩაუტარდა კვლევები და სხეულის მრავლობითი ტრავმა აღენიშნება, თუმცა ამ დროისთვის არ საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას.

– სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ შემოყვანილია 13 წლის გოგონა. რომელიც საკუთარი ბინის მე-4 სართულიდან გადმოვარდა, როგორც თვითონ ამბობს, შემთხვევით. პაციენტი შემოყვანისას იყო გონზე, ადეკვატური. თუმცა სხეულის მრავლობითი ტრავმა და დაჟეჟილობა აღენიშნება, – განუცხადა „ინფო რუსთავს" მარინა კავთუაშვილმა.

კვლევების ჩატარების შემდეგ მოზარდი კლინიკა „რუსთავიდან" იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში გადაიყვანეს.

# ვარკეთილში მანქანა ბოძს შეასკდა – 1 ადამიანი დაიღუპა

30 ნოემბერს თბილისში, ვარკეთილში, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ავტომობილი ჯერ სამარშრუტო ტაქსს შეეჯახა, შემდეგ – ბოძს. დაიღუპა ერთი პირი, 21 წლის ჩარლი კუდავა.

მისი ოჯახი ზუგდიდის მუნიციპალიტეტ სოფელ ცაიში ცხოვრობს.

„საშინელებაა, ჩარლი, მიჭირს ამის დაჯერება, ღმერთო", – წერს ოჯახის ახლობელი სოციალურ ქსელში. ახალგაზრდა მამაკაცი თბილისში ნათესავებთან ცხოვრობდა. მის ცხედარს სოფელში დღეს, 2 დეკემბერს, ჩაასვენებენ. ავარიის შედეგად სამი პირი დაშავდა. ისინი საავადმყოფოში აგრძელებენ მკურნალობას.

# ზაზა სარალიძემ თავისი შვილის მკვლელების შეწყალება მოითხოვა

## „ვპატიობ მათ ყველაფერს"

ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამა ზაზა სარალიძე პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მიმართავს, რომ მისი შვილის მკვლელობაში მსჯავრდებულები შეიწყალოს.

ამის შესახებ განცხადება მან 30 ნოემბერს „ტვ პირველის" გადაცემა „რეაქციაში" გააკეთა.

– მე დღეს ის ბიჭები მეცოდება ყველა. პირდაპირ მივმართავ სალომე ზურაბიშვილს, გამოუშვას ყველა. ყველა იმ ბავშვს ვპატიობ ყველაფერს. იმიტომ ვპატიობ, რომ კანონი მეუბნება, 15 წლის მერე მაინც უნდა აპატიო, დღესვე ვაპატიებ, რატომ ვიტანჯო. განა ის ბავშვები და იმათი მშობლები არ მეცოდება?! მე ბოლო სასამართლოზეც ვთქვი, ვინც სიმართლეს იტყვის, ყველა გამოუშვან. კალანდიაც გამოუშვან. აღარაა მკვლელები ჩემთვის მნიშვნელოვანი. ზაზა სარალიძემ დაამტკიცა დათო სარალიძის სიმართლე, – განაცხადა ზაზა სარალიძემ.

მისი თქმით, ის ბოლომდე იბრძოლებს იმ მაღალჩინოსნების დასასჯელად, რომლებიც მისი შვილის მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებას ხელს უშლიდნენ.

# პარლამენტმა შსს-ს ავტორობით მომზადებული ორი კანონპროექტი დაამტკიცა

## მკაცრდება სასჯელი ნარკორეალიზატორების მიმართ

საქართველოს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებული კანონპროექტები დაამტკიცა. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, მნიშვნელოვნად გამკაცრდა სასჯელის ზომები ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელი პირების მიმართ.

ცვლილების თანახმად, ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის მინიმალურ სასჯელად 10 წლიდან თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა. ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით გასაღების შემთხვევაში, ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, სასჯელის სახით 12-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემთხვევაში – 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა.

ასევე, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად გამკაცრდა სასჯელი ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისათვის.

ცვლილების თანახმად, ფსიქოტროპული ნივთიერების გასაღებისთვის სასჯელად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3-დან 6 წლამდე ვადით. აღნიშნული ნივთიერების დიდი ოდენობით გასაღების შემთხვევაში – 5-დან 9 წლამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემთხვევაში 10-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა.

სისხლის სამართლის კოდექსის გარდა, ცვლილებები განხორციელდება „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში, რომლის მიზანს პოლიციის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს.

ცვლილების თანახმად, სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, პოლიციას მიეცემა შესაძლებლობა, პირის იდენტიფიცირება ადგილზევე მოახდინოს და მისი მონაცემები გადაამოწმოს სამინისტროს ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ ბაზებში. აღნიშნული ელექტრონული პროგრამა უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო შენახვას და მათ დაცვას უკანონო გამოყენებისგან.

# ბესიკ თამლიანს პატიმრობა მიესაჯა

## მან შიმშილობა დაიწყო



თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 29 ნოემბრის აქციაზე დაკავებულ ბესიკ თამლიანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე დავით კურტანიძემ გუშინ, 1 დეკემბერს, მიიღო.

მოსამართლის განცხადებით, ვლინდებოდა ძალადობრივი მოქმედების ფაქტი, რაც გათვალისწინებული ძალადობის ნიშნებზე მიანიშნებდა. მისივე თქმით, არსებობდა გარკვეული საფრთხეები და მომეტებულად, ხელახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. არსებული მოცემულობით კი პატიმრობა რელევანტურია, რათა საფრთხეები სრულად იყოს აღკვეთილი.

თავის მხრივ, ბესიკ თამლიანმა აღნიშნა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და შიმშილობას იწყებს.

– იძულებული გამხადეთ, შიმშილობა გამომეცხადებინა, 55 დღეში თუ იქნება პროცესი, 55-ვე დღე ვიშიმშილებ, – აღნიშნა ბესიკ თამლიანმა.

ცნობისთვის, ბესიკ თამლიანი 29 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან დააკავეს. ის მანდატურებისთვის განკუთვნილი ჯიხურის სახურავზე იყო ასული. სამართალდამცავების მოწოდების მიუხედავად, თამლიანი არ ჩამოდიოდა, რის შემდეგაც უკვე სამართალდამცავებმა მისი ძალით ჩამოყვანა ცადეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით წარედგინა, რაც ზეწოლით, ძალადობით ან მუქარით სახელმწიფო საზოგადოებრივი წესრიგის დამცავის მიმართ საქმიანობაში ხელშეშლას გულისხმობს.

აღნიშნული მუხლი 2-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ამასთან, ბესიკ თამლიანი ბრალდებულია 20 ივნისის საქმეზე და ის თავისუფლებაში 4.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ იმყოფება. თამლიანს ბრალად ედება ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა. აღნიშნული ბრალი 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# თბილისში, პეკინზე, „აი პლიუსის" მაღაზია გაქურდეს

თბილისში, პეკინის ქუჩაზე მდებარე „აი პლიუსის" მაღაზია გაქურდეს. შემთხვევა გუშინ, 1 დეკემბერს, გამთენიისას მოხდა. წაღებულია მობილური ტელეფონები. მაღაზიის გაქურდვის კადრები სათვალთვალო ვიდეოკამერამ დააფიქსირა.

# ზელენსკი: „რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გარეშე ომს ვერ შევაჩერებთ“

## ბლინკენი: „აშშ უკრაინას მხარს უჭერს“



– რუსეთთან პირდაპირი დიალოგის გარეშე ომს ვერ შევაჩერებთ.

ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ განაცხადა.

– ახლა ეს ყველამ გააცნობიერა. ყველა გარეპარტნიორი და ზოგიერთი შიგნით ამას არ აღიარებს. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ, რადგან ვიცით, რომ ძლიერი არმია გვყავს და არ გვეშინია ახლა ერთმანეთისთვის სიმართლის თქმის. თუ ჩვენ გვინდა დონბასის დაბრუნება, მაშინ, მოდით, ეს გავაკეთოთ და, თუ გვინდა, უბრალოდ ვიაროთ და ვისაუბროთ ამაზე, მაშინ არაფერი გავაკეთოთ, – აღნიშნა ზელენსკიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი, რომელიც ლატვიის დედაქალაქ რიგაში ნატო-ს მინისტერიალს ესწრება, აცხადებს, რომ აშშ შეშფოთებულია უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ქმედებებით.

– ჩვენ რუსეთის მხრიდან ასეთი ქცევა ადრეც გვინახავს, 2014 წელს, როდესაც ის შეიჭრა უკრაინაში. მაშინაც, როგორც ახლა, მათ მნიშვნელოვნად გაზარდეს სამხედრო ძალების რაოდენობა საზღვრებთან. მათ ასევე გაააქტიურეს დეზინფორმაცია, რათა უკრაინა აგრესორად წარმოაჩინონ და ეს გამოიყენონ წინაპირობად წინასწარ დაგეგმილი სამხედრო ოპერაციისთვის, – განაცხადა მან.

ბლინკენის თქმით, ნატო ასევე მზად არის, აღმოსავლეთ ფლანგზე თავდაცვა გააძლიეროს და რუსეთს მძიმე საფასური დაუწესოს, თუ ის კვლავ გამოიყენებს აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ.

– აშშ-ის მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ურყევია. მოვუწოდებთ უკრაინას, თავშეკავება გამოიჩინოს, რადგან რუსეთის მიზანია, საბაბად მოიყვანოს პროვოკაცია, რასაც უკვე დიდი ხანია, გეგმავს, – განაცხადა ბლინკენმა.

# აშშ-ში მოსწავლემ 3 მოსწავლე მოკლა

აშშ-ში, მიჩიგანის სკოლაში, ერთ-ერთმა მოსწავლემ ნახევრად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც დაიღუპა 3 და დაიჭრა 8 ადამიანი.



დაღუპულები 16, 17 და 14 წლის მოსწავლეები არიან. დაჭრილებიდან ერთ-ერთი პედაგოგია, დანარჩენები კი – მოსწავლეები.

15 წლის მოსწავლე, რომელმაც ცეცხლი გახსნა, სამართალდამცავებმა ადგილზე დააკავეს. ჯერჯერობით უცნობია, რა იყო სროლის მოტივი.

# ლუკაშენკო ყირიმის რუსეთში შესვლის აღიარებას აპირებს



ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ყირიმი დე ფაქტო მუდამ რუსეთი იყო. უკრაინას ის მხოლოდ ფორმალურად ეკუთვნოდა, რეფერენდუმის შემდეგ კი ყირიმი რუსეთს უკვე დე იურედ შეუერთდა.

– დღეს ყირიმი დე იურედ რუსეთის ტერიტორიაა! – დაასკვნა ლუკაშენკომ.

მან განაცხადა, რომ მალე ვლადიმერ პუტინთან ერთად ყირიმს მოინახულებს. ეს იქნება ცხადი აღიარება იმისა, რომ ყირიმი რუსეთია.

– ბელარუსის მიერ ყირიმის რუსეთის ნაწილად აღიარება გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებს უკრაინა-ბელარუსის ურთიერთობებს.

ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი კულებამ რიგაში ჟურნალისტებს ნატო-ს მინისტერიალზე განუცხადა.

– ჩვენ შევაფასებთ ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს ქმედებებს. თუ ბელარუსი ნამდვილად აღიარებს რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ოკუპაციას, ეს გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებს უკრაინა-ბელარუსის ურთიერთობებს. ყირიმი არ არის ის საკითხი, სადაც ჩვენ თავს თავშეკავების უფლებას ვაძლევთ, – აღნიშნა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# კანფეტების ქილაში უიშვიათეს მონეტას მიაგნეს



უიშვიათესი ამერიკული მონეტა გაიყიდა აუქციონზე 264 ათას ფუნტ სტერლინგად.

ბრიტანელმა ვენტვორტ ბომონტმა ასეულობით ძველი მონეტა იპოვა კანფეტებისთვის განკუთვნილ ლითონის ქილაში, რომელიც ინგლისში საგვარეულო სახლში ინახებოდა. სპეციალისტებმა ერთ-ერთ მათგანში ამოიცნეს შესანიშნავად შენახული ვერცხლის შილინგი, რომელიც ბოსტონში 1652 წელს იქნა დამზადებული და ის ერთ-ერთი პირველი მონეტა იყო, რომელიც კოლონიალურ ამერიკაში იქნა გამოშვებული. ასევე ქილაში აღმოჩნდა ორი კონტინენტალური 1776 წლის დოლარი და ბრინჯაოს მედალი ლიბერტას ემერიქან, დამზადებული 1781 წელს ამერიკის რევოლუციის სამახსოვროდ.

ყველაზე ფასეული მათ შორის აღმოჩნდა შილინგი. ასეთი 40-მდე მონეტაა შემონახული, ამასთან, როგორც წესი – საშინელ მდგომარეობაში. აუქციონზე გამართული ვაჭრობის დროს ლოტის ღირებულებამ მოსალოდნელს 50 ათასით გადააჭარბა და ანონიმ მყიდველს ერგო აშშ-დან. კონტინენტალური დოლარები 80-80 ათას დოლარად გაიყიდა, ხოლო ბრინჯაოს მედალში მყიდველმა 17 ათას დოლარზე მეტი გადაიხადა.

# ეჭვიანმა ცოლმა ქმრის პოლიციელების დახმარებით შემოწმება გადაწყვიტა და დაკავებული თავად აღმოჩნდა



ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანის შაოსინის ოლქში ეჭვიანი ქალი მას შემდეგ დააკავეს, რაც მან პოლიცია იმისთვის გამოიძახა, რათა შეემოწმებინა, ღალატობდა თუ არა ქმარი.

ქალი, გვარად ლი, ხშირად ეჩხუბებოდა მეუღლეს, გვარად ვანს. ბოლოს და ბოლოს, მამაკაცმა მას განუცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ცალ-ცალკე იცხოვრებდნენ და თავად სასტუმროში გადავიდა. ლიმ არ მოისვენა, გადაწყვიტა, მეუღლისთვის თვალი ედევნებინა და სასტუმრომდე მიაღწია. ვანი თავის ნომერში ჩაიკეტა და მისთვის კარის გაღებაზე უარი განაცხადა. ქალს დახმარებაზე უარი უთხრეს სასტუმროს თანამშრომლებმაც.

მაშინ ლიმ პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ მისმა ქმარმა მეძავი დაიქირავა. გამოძახების ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ნახეს, რომ მამაკაცი საკუთარ ნომერში სრულიად მარტო იმყოფებოდა. მათ იქ სხვა ქალის ყოფნის ვერანაირ კვალს ვერ მიაგნეს.

მათ წყვილი განყოფილებაში საქმის შემდგომი გარკვევისთვის გადაიყვანეს. იქ ლიმ განაცხადა, იმისთვის, რომ გაეგო, რით იყო მისი ქმარი დაკავებული, იცრუა. პოლიციელებმა ქალი ცრუ შეტყობინების ბრალდებით დააკავეს.

# ტრამპმა მეგან მარკლი უწესო ქცევაში დაადანაშაულა



აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ბრიტანეთის პრინც ჰარის მეუღლის მეგან მარკლისადმი საკუთარი დამოკიდებულება ღიად გამოხატა. ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხის პირდაპირ ეთერში მან განაცხადა, რომ მარკლი უპატივცემულოდ მოიქცა სამეფო ოჯახთან მიმართებით, როდესაც ბუკინჰემის სასახლის ცხოვრების ცალკეული დეტალები გამოამზეურა.

ტრამპმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარკლის თაყვანისმცემელი არ არის და არც არასოდეს ყოფილა. მან ასევე აღნიშნა, რომ პრინც ჰარის საშინლად იყენებენ და ერთხელაც ის ამას ინანებს.

გარდა ამისა, ტრამპმა მარკლი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის მიმართ უპატივცემულობასა და უწესობაში დაადანაშაულა.

– პრინც ჰარის მეუღლემ მოახდინა ჰარისა და მისი ოჯახის ურთიერთობის დანგრევის პროვოცირება, რაც დიდ ტკივილს აყენებს დედოფალ ელისაბედ II-ს, – განაცხადა ყოფილმა პრეზიდენტმა.

ამავე დროს, ტრამპმა ბრიტანეთის დედოფალს დიდებული ქალი და ისტორიული მნიშვნელობის პიროვნება უწოდა. ტრამპი დედოფალ ელისაბედ II-ს ორჯერ, 2018 და 2019 წლებში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში შეხვდა.

# აშშ-ის ყველაზე ლამაზ გოგონად ჟურნალისტი აღიარეს



ამერიკის კენტუკის შტატის მკვიდრი ჟურნალისტი ელე სმიტი „მის აშშ-2021“-ის კონკურსის გამარჯვებულად აღიარეს. ასე რომ, „მის სამყარო 2021“-ის კონკურსში თავის ქვეყანას სწორედ ის წარადგენს.

სმიტმა 2020 წელს დაამთავრა კენტუკის უნივერსიტეტი ტელე-რადიო და ინტერნეტ-ჟურნალისტიკის სპეციალობით. ახლა აშშ-ის ყველაზე ლამაზი გოგონა ადგილობრივი ტელეარხის რეპორტიორი გახდა, რომელიც ლუისვილსა და კენტუკიში მაუწყებლობს.

სწავლის დროს გოგონა ფერადკანიანი ჟურნალისტების ეროვნული ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი იყო.

სილამაზის კონკურსი „მის სამყარო 2021“ მიმდინარე წლის 12 დეკემბერს ისრაელში გაიმართება.

# ქალმა სიცოცხლის დაზღვევის შემდეგ მეუღლისგან თავში ტყვია მიიღო



ამერიკის ტეხასის შტატში გათხოვილმა ქალმა საკუთარი სიცოცხლე 250 ათას დოლარად დააზღვია და ორი დღის შემდეგ მეუღლისგან თავში ტყვია მიიღო.

41 წლის კრისტოფერ კოლინზმა პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ იუანხუა ლიანმა გაუგზავნა სმს და აცნობა, რომ მათ სახლში უცხო პირი იყო შესული. მისი თქმით, ამის შემდეგ მეუღლე კავშირზე აღარ გამოსულა.

გამოძახების ადგილზე მისულმა პოლიციელებმა წყვილის ბინაში აღმოაჩინეს ქალის ცხედარი, რომელსაც ტყვიით ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული. ქალს სახეზე ეკეთა სპეციალური ნიღაბი, რომელსაც ძილის დროს იყენებენ და ჩამოცმული ჰქონდა პაკეტი. ჩხრეკის დროს სამართალდამცავებმა იპოვეს 16 ნოემბერს ხელმოწერილი შეთანხმება სადაზღვევო კომპანიასთან, რომლის თანახმადაც, ქალის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახი 250 ათას დოლარს მიიღებს.

მკვლელობის ერთ-ერთ მთავარ ეჭვმიტანილად იქცა კოლინზი. გამომძიებლების მონაცემებით, ქალის თავზე ჩამოცმული პაკეტი, შესაძლოა, იმაზე მეტყველებდეს, რომ ქალი მოკლა მამაკაცმა, რომელიც მასთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. მან ვერ შეძლო, მისთვის სახეში ეყურებინა და გადაწყვიტა, ასე დაეფარა. უფრო მეტიც, სახლში გარედან შეღწევის არანაირი კვალი არ იქნა აღმოჩენილი. ამერიკელის ჯიბეში აღმოჩნდა 22 კალიბრის მასრა, ხოლო ლიანი მცირე კალიბრის იარაღიდან იყო მოკლული.

კოლინზს მისი საქმის სასამართლო მოსმენამდე გირაოდ 150 ათასი დოლარი შეეფარდა.

# ქორწილის ხმამაღალმა მუსიკამ ქათმები იმსხვერპლა

ინდოეთის ოდიშის შტატის ბალასორის ოლქში 63 ქათამი გულის შეტევისგან დაიღუპა, რაც მეზობლად გამართული ქორწილიდან გამომავალმა მეტისმეტად ხმამაღალმა მუსიკამ გამოიწვია.



ფერმის მფლობელმა რაჯიტ პარიჯამ განაცხადა, რომ კვირას სიძე-პატარძალი სტუმრებთან ერთად მეზობელ სოფელში ქორწილს ზეიმობდა. რაღაც მომენტში მუსიკა მეტისმეტად ხმამაღლა ჩაირთო და მაშხალების აფეთქებაც დაიწყეს. ხმაურმა ქათმები და წიწილები შეაშინა და შეშინებულები ფერმის ტერიტორიაზე წინ და უკან სირბილს მოჰყვნენ.

მათი მდგომარეობით შეწუხებული პარიჯა ქორწილის ადგილზე მივიდა და ახლადშეუღლებულებს უფრო დაბალ ხმაზე ზეიმისკენ მოუწოდა, თუმცა, მისივე მტკიცებით, ისინი იმდენად ნასვამები იყვნენ, რომ მისი ნათქვამი სერიოზულად ვერ აღიქვეს და მხიარულება გააგრძელეს. როდესაც მამაკაცი ფერმაში დაბრუნდა, 63 მკვდარი ფრინველი აღმოაჩინა, რომლებიც, სავარაუდოდ, შიშით გამოწვეული გულის შეტევით დაიღუპნენ.

მეორე დილით პარიჯამ პატარძლის ნათესავებს ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა, თუმცა უარი მიიღო.

– ხმამაღალი მუსიკის გამო დაახლოებით 180 კილოგრამი ქათმის ხორცი დავკარგე, ვინაიდან ისინი, სავარაუდოდ, შოკისგან დაიღუპნენ, – განაცხადა პარიჯამ. საქმეს ადგილობრივი პოლიციის უფროსი ინსპექტორი იძიებს.

# ოჯახთან ერთად სადილობის დროს მამაკაცი ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა



ამერიკის პენსილვანიის შტატის ქალაქ ბორო ნორისთაუნის მკვიდრი ბრმა ტყვიამ იმ დროს იმსხვერპლა, როდესაც ოჯახთან ერთად მადლიერების დღის აღსანიშნავ სუფრასთან იჯდა.

25 წლის ედილბერტო მიგელ პალაეზ მოკტესუმა ოჯახთან ერთად სადილობდა. მოულოდნელად ბრმა ტყვიამ ფანჯრის მინა ჩაამსხვრია და მამაკაცი ადგილზევე მოკლა. პოლიციის განცხადებით, დაღუპულს არანაირი კავშირი არ ჰქონია სროლასთან.

– მეტად სამწუხარო ისტორიაა. როდესაც ოჯახის წევრები მადლიერების დღეზე იკრიბებით, ასეთ რამეს ვერც კი წარმოიდგენთ, – განაცხადა ადგილობრივმა მკვიდრმა უილიამ ჰოლმსმა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაინახა, თუ როგორ შეხვდა სასწრაფო დახმარების ექიმებს მოკტესუმას ნათესავი.

პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სროლაში ეჭვმიტანილის სახით 19 წლის კევონ კლარკს ეძებენ, რომელიც, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების თქმით, შეიარაღებული და სახიფათოა. სროლა სხვა ზეიმის დროს წარმოქმნილი კამათის შედეგად დაიწყო. კლარკს, მის მეგობარ გოგონა ჟაკლინ ბრაუნსა და კიდევ ორ პირს საზეიმო წვეულების დატოვება მოსთხოვეს. მათი წასვლის შემდეგ ადგილზე დარჩენილებმა აღმოაჩინეს, რომ აკლოჰოლური სასმელები იყო დაკარგული.

ბრაუნის ბიძაშვილი გოგონა, რომელიც ასევე იმყოფებოდა წვეულებაზე, კომპანიას სასმელის დაბრუნებას დაჰპირდა. ის ავტომობილით კლარკის სახლთან მივიდა. ახალგაზრდა სახლიდან პისტოლეტით გამოვიდა, რისი დანახვის შემდეგ გოგონამ იქაურობა სასწრაფოდ დატოვა, წასვლის დროს კი რამდენიმე გასროლის ხმა გაიგონა.

მოგვიანებით გამომძიებლებმა შვიდი გილზი აღმოაჩინეს. მათ დაადგინეს, რომ მოკტესუმა კლარკის მიერ გასროლის შედეგად დაიღუპა. ამ ფაქტს სხვადასხვა სათვალთვალო კამერიდან გადაღებული ორი ვიდეოჩანაწერი ადასტურებს. ვიდეოჩანაწერში ორი სხვა ეჭვმიტანილიც ჩანს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ჟერარ პიკე: „მადრიდისტა არასდროს ვიქნები“

მას შემდეგ, რაც ბარსელონაში მთავარ მწვრთნელად ჩავი ერნანდესი დაინიშნა, კლუბში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, ფეხბურთელთა დღის წესრიგი.

ერთ-ერთი მათგანი იყო, რომ ფეხბურთელებს მედიასთან ურთიერთობა აეკრძალათ. ერთ-ერთ ესპანურ მედიას ჟერარ პიკესთან ინტერვიუ ინტერვიუ რამდენიმე კვირის წინ ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ ფეხბურთელმა მისი გადადება გადაწყვიტა. ესპანური მედიის ცნობით, ინტერვიუს გაუქმების გადაწყვეტილება ჩავიმ მიიღო, თუმცა პიკემ ეს ინფორმაცია უარყო.

აი, ეს ინტერვიუ...

***– მესიმ მე-7 „ოქროს ბურთი“ ბურთი მოიგო.***

– მან კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. მის საუკეთესოობასთან დაკავშირებით ყველა ეჭვი გაფანტულია.

ჩემთვის მისი წასვლა ძალიან მძიმე იყო, როგორც პიროვნული, ასევე სპორტული კუთხით. ლეო ჩემთვის ძმასავით არის. მის გარეშე სეზონი არც ისე კარგად დავიწყეთ. ახლა იგი პსჟ-შია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისევ ერთად ვიქნებით. ჩვენ ერთად 16-17 წელი გვაქვს გატარებული.

***– ჩავი ერნანდესთან გითამაშიათ. ახლა ის მთავარი მწვრთნელია. ამბობენ, წესრიგის დამყარება მკაცრი წესებით დაიწყო.***

– ჩავიმ გარკვეული წესები შემოიღო, ამას ყველა მწვრთნელი აკეთებს. ეს წესები გუნდში წესრიგისა და დისციპლინის დამყარებისთვის აუცილებელია, ასე იქნება კიდეც. ჩვენთვის სერფინგი და ელექტროველოსიპედების გამოყენება არავის აუკრძალავს.

ჩავი ფეხბურთელისგან უფრო მეტს ითხოვს და მოდუნების საშუალებას არ აძლევს, შენ მისი იმედგაცრუების მორალური უფლება არ გაქვს.

***– ბარსელონის პრეზიდენტობაზე გიფიქრიათ?***

– ხანდახან ვოცნებობ, ხანდახან – არა. ამისთვის, აუცილებელია, რომ ეს კლუბი განსაკუთრებულად გიყვარდეს და მზად იყო, მისთვის გარკვეული მსხვერპლიც გაიღო.

***– რომელი უფრო კარგი ქალაქია – მადრიდი თუ ბარსელონა?***

– ბარსელონა მიყვარს, მაგრამ მადრიდი შესაშური ქალაქია. ჩემი აზრით, მადრიდში უფრო მეტი შესაძლებლობაა. სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, რომ მადრიდში ხალხს უფრო სასიამოვნო ხასიათი აქვს, ვიდრე ბარსელონაში.



***– მადრიდის რეალში გადახვიდოდით?***

– რეალში არასდროს გადავალ. ეს შეუძლებელია!!! მირჩევნია, მოვკვდე, ვიდრე მადრიდისტა ვიყო.

***– ამბობენ, რომ ფლორენტინო პერესის ტელეფონის ნომერი გაქვთ.***

– დიახ, ფლორენტინო პერესის ტელეფონის ნომერი მაქვს. რამდენიმე წლის წინ, მას გარკვეული პირადი საკითხის შესახებ ვესაუბრე.

***– როგორ შეაფასებდით ამ სეზონში ვინისიუსის თამაშს?***

– 10-დან 9 ქულას დავუწერდი.

***– რომელი ტიტული უფრო სასიამოვნო იყო – მსოფლიო ჩემპიონობა თუ ჩემპიონთა ლიგის მოგება?***

– მსოფლიო ჩემპიონატის მოგება საოცარი იყო. ისევე, როგორც ჩემპიონთა ლიგის. 2009 წელს, მანჩესტერიდან დაბრუნებიდან პირველივე წელს, ტრებლი მოვიგე. მსოფლიო ჩემპიონატის მოგებასა და ჩემპიონთა ლიგის მოგებას ერთ დონეზე ვაყენებ.

***– ამბობენ, შეთავაზება პსჟ-დანაც ჰქონდაო.***

– არა... პარი სენ-ჟერმენიდან შემოთავაზება არ მიმიღია.

***– გიფიქრიათ, რას გააკეთებთ კარიერის დასრულების შემდეგ?***

– ჯერ ნამდვილად არ მიფიქრია იმაზე, თუ რას გავაკეთებ კარიერის დასრულების შემდეგ. ამას თან გარკვეული ბენეფიტების დაკარგვა ახლავს, მაგალითად, ხალხი უფრო ნაკლებად გცნობს.

## რალფ რანგნიკის ბედის ბორბალი



მანჩესტერ იუნაიტედის ახალი დროებითი მწვრთნელი, 63 წლის გერმანელი რალფ რანგნიკი, დისციპლინას საგანგებო ყურადღებას აქცევს. ლაიფციგში მუშაობის დროს მას კლუბში „ბედის ბორბალი“ ედგა და მისი ტრიალი წყვეტდა, „ურჩ“ ფეხბურთელთაგან რომელი როგორ დაისჯებოდა.

„ბედის ბორბალი“ სამხრეთ ამერიკაში მოუფიქრებიათ. მასზე 12 სექტორია: 11 ცუდია, ერთს აწერია – ციხიდან თავისუფალი ხარ.

ფეხბურთელების ამ მეთოდით დასჯა რანგნიკს აზრად მას მერე მოუვიდა, რაც მიხვდა, რომ პროფესიულ კლუბში ფულად ჯარიმას შედეგი არ მოაქვს.

2018 წელს რანგნიკმა თქვა:

– დაქვითვა არაფრისმომცემია. ფეხბურთელებისთვის ფულზე მნიშვნელოვანი თავისუფალი დროა.

**გავეცნოთ რანგნიკის ლაიფციგურ „ბედის ბორბალს“:**

1.დასჯილ ფეხბურთელს ერთი კვირის განმავლობაში ევალება ყველა ბურთი გაბერილი და იდეალურ წესრიგში ჰქონდეს;

2.დასჯილი ფეხბურთელი თავისუფალ დღეს აკადემიის ბავშვებს ოთხსაათიან გაკვეთილს ჩაუტარებს;

3.დასჯილი ფეხბურთელი თავისუფალ დღეს, ერთი საათის განმავლობაში სტადიონზე ექსკურსიამძღოლად იმუშავებს;

4.ციხიდან თავისუფალი ხარ – ფეხბურთელს გაუმართლა;

5.დასჯილი ფეხბურთელი საწვრთნელ ბაზაზე მოედნების მომვლელს ერთი კვირის განმავლობაში 4-6 საათით დაეხმარება;

6.დასჯილი ფეხბურთელი რალფ რანგნიკის 90-წუთიან ვარჯიშზე ბალერინის კაბაში იქნება გამოწყობილი;

7.დასჯილი ფეხბურთელი ერთი კვირის განმავლობაში ვარჯიშებზე მთელი გუნდის წყლით მომარაგებას უზრუნველყოფს;

8.დასჯილი ფეხბურთელი საკლუბო მაღაზიაში გამყიდველის ასისტენტად იმუშავებს;

9.დასჯილი ფეხბურთელი ერთი კვირის განმავლობაში გუნდის სასადილოში იმუშავებს მიმტანად. კვების შემდეგ მაგიდების ალაგება და გადაწმენდაც მის მოვალეობაში შედის;

10.დასჯილი ფეხბურთელი ერთი კვირის განმავლობაში იზრუნებს თანაგუნდელების დასვრილ სავარჯიშო ფორმებსა და ტალახაკრულ ბუცებზე;

11.დასჯილი ფეხბურთელი გასვლით დღეს მთელი გუნდის ბარგს ავტობუსში ჩაალაგებს და დანიშნულების ადგილზე ჩასვლის შემდეგ დააბინავებს მას;

12.დასჯილი ფეხბურთელი კლუბის ყველა თანამშრომელსა და მოთამაშეს პატარ-პატარა საჩუქარს უყიდის.

## სანიკიძე თუ გურასპაული – საპრეზიდენტო არჩევნებში ორი კანდიდატი გამოიკვეთა

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები თანდათან ეშხში შედის. თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის წარდგინებით, რომელიც სრულუფლებიანი ხმის უფლების მქონე წევრია, ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატის დარეგისტრირების შესახებ განცხადება მიიღო. კავშირმა კანდიდატად კალათბურთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი პაატა გურასპაული დაასახელა.




შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში რეგისტრაცია საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი, მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი „ქართული ოცნების“ სიით, საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძემაც გაიარა.

საერთო საარჩევნო კრება 2021 წლის 11 დეკემბერს, 13:00 საათზე, „ქორთიარდ მარიოტის“ საკონფერენციო დარბაზშია დაგეგმილი.

## დინამომ მეოთხე მატჩიც წააგო

<u>დინამო-ბრეშა 11:19</u>

**(2:5, 2:4, 3:5, 4:5)**

თბილისის დინამოს წყალბურთელთა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე მატჩი გამართა და მეოთხედ წააგო. ქართული გუნდი ამჯერად იტალიის ჩემპიონ ბრეშას დაუხვდა და 11:19 დამარცხდა.

ცხადია, მატჩში ფავორიტად სტუმრებს მიიჩნევდნენ, რომლებიც თბილისში ჯგუფის ლიდერის რანგში ჩამოვიდნენ. იტალიელებმაც პირველივე პერიოდში დაამტკიცეს, რომ 3 ქულის წასაღებად იყვნენ ჩამოსული.

მატჩის დასაწყისშივე დი სომასა და პრესიუტის გოლებმა სტუმრებს მალევე დამშვიდების უფლება მისცა. ამის შემდეგ მეტოქე მეთოდურად ზრდიდა ანგარიშს და საქმე მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ სტუმარი ედუარდო დი სომა აღიარეს. რაც შეეხება დინამოდან ბრეშაში გადასულ საქართველოს ნაკრების წევრ ბორის ვაპენსკის ყოფილი გუნდის კარში ბურთი არ შეუგდია.

4 ტურის შემდეგ: ოლიმპიაკოსი, ბრეშა – 10-10 ქულა; ტელეკომი, ბარსელონეტა, ნოვი ბელგრადი, იადრანი – 6-6; რადნიჩკი – 1; დინამო – 0.

ქართველი წყალბურთელები მე-5 ტურის მატჩის 14 იანვარს სტუმრად, უშუალო კონკურენტ რადნიჩკისთან გამართავენ.

## ქალთა საფეხბურთო ნაკრები ირლანდიასთან განადგურდა

საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეოთხე შეხვედრა სტუმრად ირლანდიის წინააღმდეგ ჩაატარა. დუბლინში გამართული მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით, ანგარიშით – 11:0 დასრულდა.



ირლანდიელებმა უპირატესობა საწყის წუთებშივე მოიპოვეს და პირველი ტაიმი 4:0 მოიგეს. მე-2 ტაიმში თამაშის სცენარი არ შეცვლილა და მასპინძლები შეტევაში აქტიურად მოქმედებდნენ. საქართველოს ნაკრებმა მატჩი 10 ფეხბურთელის შემადგენლობით დაასრულა, 69-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათის გამო მთავარმა არბიტრმა მოედნიდან მაიკო ბებია გააძევა.

შედეგად, ირლანდიელებმა კიდევ 7 გოლი გაიტანეს და ანგარიშს გამანადგურებელი სახე მისცეს.

ირლანდიაში გამართული მატჩით საქართველოს ქალთა ნაკრებისთვის 2021 წლის სანაკრებო სეზონი დასრულდა. გიორგი ჩხაიძის გუნდი, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ფარგლებში, მომდევნო შეხვედრას 2022 წლის 7 აპრილს საკუთარ მოედანზე შვედეთის წინააღმდეგ გამართავს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

### 30 ნოემბერი

<u>ფეხბურთი</u>

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნიუკასლი-ნორვიჩი ........................ 1:1

ლიდსი-კრ.პალასი ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 13 | 9 | 3 | 1 | 31-5 | 30 |
| 2.სიტი | 13 | 9 | 2 | 2 | 27-7 | 29 |
| 3.ლივერპული | 13 | 8 | 4 | 1 | 39-11 | 28 |
| 4.ვესტ ჰემი | 13 | 7 | 2 | 4 | 24-16 | 23 |
| 5.არსენალი | 13 | 7 | 2 | 4 | 15-17 | 23 |
| 6.ვულვზი | 13 | 6 | 2 | 5 | 12-12 | 20 |
| 7.ტოტენჰემი | 12 | 6 | 1 | 5 | 11-17 | 19 |
| 8.მანჩესტერი | 13 | 5 | 3 | 5 | 21-22 | 18 |
| 9.ბრაიტონი | 13 | 4 | 6 | 3 | 12-14 | 18 |
| 10.ლესტერი | 13 | 5 | 3 | 5 | 20-23 | 18 |
| 11.კრ.პალასი | 14 | 3 | 7 | 4 | 19-20 | 16 |
| 12.ბრენტფორდი | 13 | 4 | 4 | 5 | 17-17 | 16 |
| 13.ასტონ ვილა | 13 | 5 | 1 | 7 | 18-21 | 16 |
| 14.ევერტონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16-20 | 15 |
| 15.ლიდსი | 14 | 3 | 6 | 5 | 13-20 | 15 |
| 16.საუთჰემპტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 11-18 | 14 |
| 17.უოტფორდი | 13 | 4 | 1 | 8 | 18-24 | 13 |
| 18.ნორვიჩი | 14 | 2 | 4 | 8 | 8-28 | 10 |
| 19.ბარნლი | 12 | 1 | 6 | 5 | 14-20 | 9 |
| 20.ნიუკასლი | 14 | 0 | 7 | 7 | 16-30 | 7 |

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ვენეცია ........................ 4:0

ფიორენტინა-სამპდორია ................ 3:1

ვერონა-კალიარი ........................ 0:0

სალერნიტანა-იუვენტუსი .............. 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 14 | 11 | 2 | 1 | 30-7 | 35 |
| 2.მილანი | 14 | 10 | 2 | 2 | 30-18 | 32 |
| 3.ინტერი | 14 | 9 | 4 | 1 | 34-15 | 31 |
| 4.ატალანტა | 15 | 9 | 4 | 2 | 32-17 | 31 |
| 5.რომა | 14 | 8 | 1 | 5 | 24-15 | 26 |
| 6.ფიორენტინა | 15 | 8 | 0 | 7 | 24-20 | 24 |
| 7.იუვენტუსი | 15 | 7 | 3 | 5 | 20-16 | 24 |
| 8.ლაციო | 14 | 6 | 3 | 5 | 25-25 | 21 |
| 9.ბოლონია | 14 | 6 | 3 | 5 | 20-24 | 21 |
| 10.ვერონა | 15 | 5 | 5 | 5 | 28-25 | 20 |
| 11.ემპოლი | 14 | 6 | 1 | 7 | 21-26 | 19 |
| 12.სასუოლო | 14 | 5 | 3 | 6 | 22-21 | 18 |
| 13.ტორინო | 14 | 5 | 2 | 7 | 17-14 | 17 |
| 14.უდინეზე | 14 | 3 | 6 | 5 | 16-20 | 16 |
| 15.სამპდორია | 15 | 4 | 3 | 8 | 21-29 | 15 |
| 16.ვენეცია | 15 | 4 | 3 | 8 | 12-25 | 15 |
| 17.სპეცია | 14 | 3 | 2 | 9 | 15-32 | 11 |
| 18.ჯენოა | 14 | 1 | 7 | 6 | 17-26 | 10 |
| 19.კალიარი | 15 | 1 | 6 | 8 | 16-29 | 9 |
| 20.სალერნიტანა | 15 | 2 | 2 | 11 | 11-31 | 8 |

**იტალია. სერია ბ**

კრემონეზე-ფროზინონე .................. 1:1

პიზა-პერუჯა ............................ 1:1

ვიჩენცა-ბენევენტო ...................... 2:3

მონცა-კოზენცა .......................... 4:1

პორდენონე-ალესანდრია ................ 2:0

რეჯინა-ასკოლი ......................... 1:2

სპალი-ლეჩე ............................. 1:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ვიზელა ........................... 4:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-დ.იუნაიტედი ............... 1:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 2. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებაზე მითითება; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. მძიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი, მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი; 8. ფინური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი, კენედისა და დალასის სახელობის აეროპორტების პროექტის ავტორი; 9. ნავთობპროდუქტების გასაწმენდად გამოყენებული მათეთრებელი თიხა; 11. მღვდლის ცოლი; 12. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 14. პურეული მცენარე; 16. ბაღის სასხლავი მაკრატელი; 17. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 19. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

**თარაზულად:** 5. რაიმე მოვლენის დამახასიათებელი გარეგანი ნიშანი; 6. ორკესტრის ხელმძღვანელი; 7. ესპანეთის საკალათბურთო ლიგის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული ქართველი კალათბურთელი; 10. ერბოში ჩახარშული ყველით მომზადებული აჭარული კერძი; 13. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი; 15. სპორტის ტექნიკური სახეობა, მოტოციკლეტების რბოლა ყინულზე ან წიდიან ბილიკზე; 18. ბრიტანული ყველი; 20. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 22. მათემატიკის ნაწილი; 23. სიტყვის თავსართი გრამატიკაში; 24. ველური ვაზი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლეჟავა; 2. კანოე; 3. ტრიერი; 4. მანეჟი; 6. მორავია; 9. ქარვა; 11. სალხინო; 15. კურცხაარი; 16. ნადალი; 17. ავადჰარა; 19. იმერეთი; 21. მალხაზი; 22. ცაცხვი.

**თარაზულად:** 5. სელექცია; 7. ორატორი; 8. ანდორა; 10. პანტერა; 12. ჟიჟკა; 13. ონიმა; 14. რევოკაცია; 18. ლახტი; 20. საბვეი; 23. ჩალხია; 24. ლელო; 25. ფელახი; 26. ვერა; 27. აზბესტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხერესი; 2. ონაგატა; 3. ბლანშეტი; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. კონტრასტი; 11. შეიკერი; 12. იენი; 14. არგო; 16. კოლექცია; 17. მეტონიძე; 19. ფროიდი; 21. ნოკია.

**თარაზულად:** 5. კლიასერი; 6. ჯარგვალი; 7. პასტორალი; 10. პერონი; 13. კანადა; 15. სნუკერი; 18. გოგენი; 20. ბატუტი; 22. პროვიზორი; 23. ბილფელდი; 24. ჭიჭინაძე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 დეკემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1279

ევრო — 3.5414

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1623

100 რუსული რუბლი — 4.2290

## ამინდის პროგნოზი 2 დეკემბრისათვის




## კლოპი: „გამიკვირდა, რომ სალაჰი მე-7 ადგილზე გავიდა“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა „ოქროს ბურთის“ დაჯილდოებაზე ისაუბრა და გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ მოჰამედ სალაჰი მხოლოდ მე-7 ადგილზე გავიდა.

კლოპმა ამაში ჟურნალისტები დაადანაშაულა, რომლებიც ხმას აძლევდნენ.



კლოპის აზრით, მათ ობიექტურობა აკლიათ:

– ვულოცავ მესის „ოქროს ბურთის“ მოგებას, მაგრამ სალაჰი გაცილებით მეტს იმსახურებდა და არ მესმის, მან მე-7 ადგილი რატომ დაიკავა. ეს ნაწილობრივ თქვენი, ჟურნალისტების, ბრალია.

## დემბელემ, შესაძლოა, ბარსელონა დატოვოს



ბარსელონის ფრანგმა შემტევმა უსმან დემბელემ, შესაძლოა, ბარსელონა დატოვოს, რადგან კონტრაქტი ზაფხულში ეწურება და ჯერჯერობით ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებს.

ბარსელონის ხელმძღვანელობას სურს, დემბელე გუნდში დარჩეს, მაგრამ ჯერჯერობით უსმანს თანხმობა არ განუცხადებია და, სავარაუდოდ, ეს ფინანსური საკითხით არის გამოწვეული.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ტბაში ათასობით თევზი დათვრა

ჩინეთის ჩჟეცზიანის პროვინციაში მდებარე ტბა ცზიანში ღვინის ქარხანაში გაჩენილი ხანძრის შედეგად ღვინო ჩაიღვარა და იქ მობინადრე ათასობით თევზის დათრობა გამოიწვია.



თვითმხილველების მიერ გაკეთებულ ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ ტბაში მობინადრე თევზმა ზედაპირზე ამოცურა. ზოგიერთი მთვრალი თევზი შენელებულად დაცურავდა, სხვები ალკოჰოლით მოწამვლამ იმსხვერპლა.

ტბაში ბინადრობდნენ ოქროს თევზები, ლოქოები და სხვა სახეობები. წყლის ზედაპირზე ამოსული თევზები წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებდნენ და მეთევზეთა ადვილი ნადავლი ხდებოდნენ, რომელთაც დიდი რაოდენობით მოიყარეს თავი ტბის ნაპირზე. ხელისუფლების წარმომადგენლის თქმით, ტბას მას შემდეგ გაწმენდენ ბოლომდე, რაც მთელი თევზი ზედაპირზე ამოტივტივდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 2 დეკემბრისათვის



**ვერძი** – მრავალი პრობლემა დაგიგროვდათ. მათ დროულად მოგვარებას ნუ დააყოვნებთ. დაწყებული საქმე უთუოდ დღესვე დაამთავრეთ. **კურო** – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **ტყუპები** – პოზიტიური დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. აქტიური დასვენება დღეს დადებით შედეგს გამოიღებს. **ლომი** – შემოქმედებით სფეროში იაქტიურეთ. ახალი მოკავშირეები სულიერი ჰარმონიის შექმნაში დაგეხმარებიან. **ქალწული** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **სასწორი** – თავს ბედნიერად და ლაღად გრძნობთ. ყოველი წვრილმანი სიხარულს განიჭებთ. **მორიელი** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად გაქვთ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სპონტანურად ნუ მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. ფინანსებს არ უჩივით. **თხის რქა** – სულიერი და ფიზიკური ძალები გემატებათ. სახლში დიდხანს ნუ დარჩებით. **მერწყული** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. საქმიან სფეროში ახალი შესაძლებლობები გამოგიჩნდებათ. **თევზები** – შანსი გეძლევათ, ხელსაყრელი გარიგება გააფორმოთ. ოპტიმიზმი და მელანქოლია ერთმანეთს ენაცვლება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

●●●

ერთი ბავშვი მეორეს ეკითხება:

– ახალი წლის წინ თოვლის პაპას სმს-ი გაუგზავნე შენი სურვილებით?

– ჰო.

– მერე, პასუხი მოგივიდა?

– კი, მომწერა, თქვენ ანგარიშზე თანხა არ არისო.

●●●

დილით კაცს მაგარ „პახმელიაზე“ გაეღვიძა. თვალი გაახილა და ხედავს კედელზე წერია: „ხვალიდან არ ვსვამ!“

– მადლობა ღმერთს, დღეიდან არა! – ჩაილაპარაკა კაცმა.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ღმერთს ვევედრებოდი, რომ კარგი ქმარი მყოლოდა და მართლაც კარგი ქმარი გამომიგზავნა.

– მართლა?

– ჰო. აი ჩემი ქმარი კი კარგ ცოლს არ სთხოვდა და ამიტომაც მე შევხვდი.

●●●

დირექტორი საწარმოს კრებაზე თანამშრომლებს მიმართავს:

– თუ კარგად იმუშავებთ, ხელფასს ისევ გაგიზრდით!

ამ დროს ერთ-ერთი თანამშრომელი დაიძახებს:

– ვის ატყუებთ?! უკვე მეხუთედ გვიზრდით ხელფასს, მოცემით კი ერთხელაც არ მოგიციათ!

●●●

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს ეკითხება:

– წყალში ცურვისთვის სათვალე გაქვთ?

– არა.

– ციგურები ყინულზე სასრიალოდ?

– არა.

– და თხილამურები?

– არა და საერთოდ, ეს სასმელების მაღაზიაა.

– მაშინ ერთი ბოთლი არაყი მომეცით, – ეუბნება გამყიდველს და შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკებს, – აი, ღმერთო ხომ ხედავ, მინდოდა, სპორტით დავკავებულიყავი.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– რა ტყუილად იქნევ მაგ ბუზებს სახოცს!

– რატომ ტყუილად, უკვე ხუთი მოვკალი, სამი მამალი და ორი დედალი.

– კი მაგრამ, როგორ არჩევ, რომელია მამალი და რომელი დედალი?

– მაგას რა გამოცნობა უნდა, სამი ლუდის ქილაზე იჯდა, ორიც – ტელეფონზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ანიტა რაჭველიშვილი და ოთო მაისურაძე გოგონას მშობლები გახდნენ



ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი და მისი მეუღლე, მუსიკოსი ოთო მაისურაძე გოგონას მშობლები გახდნენ. პატარა ლილეანა და მისი დედიკო თავს კარგად გრძნობენ.

მეცოსოპრანომ ბოლოს ორსულობის მეხუთე თვეში იმღერა. გამოსამშვიდობებელ სპექტაკლზე ქართველი მომღერალი მსმენელმა ხანგრძლივი აპლოდისმენტებითა და ოვაციებით დააჯილდოვა. ანიტა სცენას იანვარში დაუბრუნდება.

ანიტა რაჭველიშვილი და ოთო მაისურაძე 2016 წელს დაქორწინდნენ.

## დემნა გვასალია ლონდონში დააჯილდოვეს



ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია ლონდონში დააჯილდოვეს.

დიდი ბრიტანეთის მოდის საბჭომ ქართველ დიზაინერს ცვლილების ლიდერის წოდება და ჯილდო მიანიჭა.

დემნა გვასალია დაჯილდოებას ვერ დაესწრო, თუმცა ჟურნალისტებს პატარა საიდუმლო გაუმხილა:

– პატარა საიდუმლოს გავამხელ. სამოსით, რომელიც მეტ გალაზე მეცვა, ვიმგზავრე ციურიხიდან ნიუ იორკში, თვითმფრინავში ასე მეძინა. მეტ გალაზე მხოლოდ ნიღაბი დავამატე.

ჩემთვის წითელ ხალიჩაზე მოდა უნდა იყოს ისეთი, როგორიც მაშინ, როდესაც საკუთარ სამზარეულოში საჭმელს ვამზადებ, თუ არადა, კოსტიუმი ხდება. მაინც მინდა, საკუთარ თავს ვგავდე და ვიყო ისეთი, როგორიც ვარ. ძალიან სასაცილო იყო კიმთან ერთად მეტ გალაზე ასე წასვლა. სელებრითებზე პარადოქსული განაცხადი გაკეთდა, მით უმეტეს – ამერიკაში.

## ქართულმა ფილმმა შოტლანდიის კინოფესტივალზე გაიმარჯვა




რეჟისორ დათო ბორჩხაძის ფილმმა „მეზობელმა“ შოტლანდიის კინოფესტივალზე გაიმარჯვა.

ქართველების ნამუშევარმა ჯილდო ორ ნომინაციაში აიღო – საუკეთესო მსახიობი და საუკეთესო დრამატურგია.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ფილმი საუკეთესოდ დასახელდა ორიგინალური და შთამბეჭდავი ისტორიისთვის, ურთიერთგამომრიცხავი პერსონაჟებისა და მეტაფორული მოგზაურობისთვის.

ფილმის რეჟისორმა დათო ბორჩხაძემ საუკეთესო დრამატურგიისთვის ხორხე სანჯინეს ჯილდო მიიღო.

## ანუკის კოსტიუმი „ვიქტორია სეკრეტის“ მოდელმა მოირგო



ქართველი დიზაინერის ანუკი არეშიძის მიერ შექმნილი კოსტიუმი „ვიქტორია სეკრეტის“ ყოფილმა ანგელოზმა ლაის რიბეირომ მოირგო.

ლამაზმანმა ანუკის ნამუშევრებიდან შეარჩია ლურჯი პიჯაკი და შარვალი. დიზაინერმა სამოსი 2021 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციისთვის შექმნა.

## მარნეულში რუსთაველის ძეგლი გაიხსნა



მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკის წინ, შოთა რუსთაველის ძეგლი გაიხსნა. ძეგლი ცნობილმა მოქანდაკე ვალერიან ჯიქიამ შექმნა.

ამ ღირსშესანიშნავმა მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა მარნეულში სახალხო დღესასწაულის, „შოთაობის“, აღნიშვნის ტრადიციას, რომელიც ყოველ წელს 20 ნოემბერს გაიმართება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. პირველი გერმანული ოპერა; 3. ფულის ერთეული უკრაინაში; 4. ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული კომპანია; 11. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული თხელი, ორნამენტებიანი ბადურა ქსოვილი; 22. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში.

**თარაზულად:** 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. მთიანეთი ევროპაში; 10. პეკინის მეორე სახელწოდება; 12. ღვინის დანალექი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 20. იტალიელი კინორეჟისორი; 23. ძველებური მექანიკური მუსიკალური საკრავი; 24. ეგრისის მეფე; 25. პოპულარული ზამთრის კურორტი შვეიცარიაში; 26. თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი; 27. რაიმეს შესწავლა-გამოკვლევა მისი ნაწილებად დაშლის გზით.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

